

မန်ဂိမ်လျော် ဒုဇဈင်းရက် ပေါက်ရှုပ် ဆုတေသန

I

အနောက် အမြန်ဖော်လွှာ

L.H.D  
1931

# ကျော်စွဲရွှေ့လွှာ ဗုဏ်ကျော်တော်ပါ

## မဒေသ ၁၃၂၀၂၁၂၅၁၅၂၀

ဒေသရာန် ဒုဇဈင်းရက် ဒာရီ ၁၉၃၁

ဤ အမြန်ဖော်လွှာ မြန်မာ

နောက်တော်ပါ မြန်မာ ဒုဇဈင်းရက်

စွဲလွှာ

1931



ერთსტ ჰერცოველი

კულტურული ურთიერთობანი  
პველს აღმოსავლეთში

382272

გერმანულიდან გადმოთარგმნილი  
ლ. მუსეელიზაციის მიერ

საქართველოს მუნიციპალიტეტი

ტფილისი

1931



Völker- und Kulturzusammenhänge im Alten Orient  
von Prof. Dr. Ernst Herzfeld, Berlin

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა.  
შეკ. № 1646. ტირაჟი 1000. მთავრული 1060.

ძველი აღმოსავლეთის ტერიტორიაზე უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში წარმოებულმა გათხრაშ მთელი რიგი ახალი არქეოლოგიურ—ენობრივი ფაქტების წინაშე დაგვაყენა. ისტორიკოსთვის იძულებულია ხელახლად გადასინჯოს უძველეს ეროვნულ-კულტურულ დამოკიდებულებათა საკითხები და თვითეულ კითხვას ახალი პასუხი მოუძებნოს.

მრავალი მკვლევარის მიერ სხვადასხვა დროს და ადგილას ჩატარებული მუშაობის წყალობით, დღეს უკვე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ახლო-აღმოსავლეთის უძველესი კულტურების მთლიანი სურათი.

პირველი პრედინასტური აღმოჩენები ეგვიპტეში მეცნიერებმა სხვადასხვანაირად განმარტეს, ხოლო მასალის დაგროვებასთან ერთად საბოლოოდ ჩამოყალიბდა ის შეხედულება, რომ ნილოსის ხეობის კულტურა დაუბრკოლებლად ვითარდებოდა ქვის ხანიდან უძველეს ისტორიულ ხანამდე და ერთი ეროვნების კუთვნილებას შეადგენდა.

რაც შეეხება ძველ ბაბილონს (გეოგრაფიული გაგებით), აქ დღეს იმავე მდგომარეობაში ვართ, რომელშიც ეგვიპტოლოგია იმყოფებოდა პირველი პრედინასტური აღმოჩენების დროს. სრულებით ცხადია, რომ ასეთ პირობებში მხოლოდ კითხვების დასმა შეგვიძლია, მაგრამ ნამდვილი პასუხის მიღება ძნელი მოსალოდნელი უნდა იყოს. ომის შემდეგ ჩატარებული უკანასკნელი გათხრების

შედეგების გაცნობამდე შეგვეძლო დაგვესკვნა, რომ ბაბილონის კულტურა უეჭველად მთლიან კულტურას წარმოადგენდა, თუმცა მისი მატარებელი ორი ძირეულად განსხვავებული ეთნიური ელემენტი იყო. ერთი ამ ელემენტთაგანი იყვნენ სუმერები, რომლებიც აქამდე-ვერ დავუკავშირეთ სრული უეჭველობით ვერც-ერთ სხვა ეროვნებას; მეორენი—სემიტები, რომლებსაც მათი უძველესი სახელმწიფოებრივი დაფუძნების მიხედვით (დაახლ. 2750 ქ. წ.) აკადელებს ვეძახით. გადმოსახლებათა წყალობით ეს სემიტური ელემენტი ათასეულ წლების განმავლობაში მულმივ განახლებას განიცდიდა, სუმერული კი არა, და ამრიგად არამცთუ აკადური ენა გაბატონდა როგორც ცოცხალი სალაპარაკო ენა, არამედ, მე-3 ათასეულის განმავლობაში, სუმერული ელემენტი სემიტურმა შეიწოვა და საისტორიო ასპარეზიდან მთლად განდევნა, მხოლოდ ის ტიპური ბეგერათა შენაცვლება, რომელსაც განიცდიდა ყოველი სემიტური ენა ბაბილონში, ვიდრე არაბთა შემოსევამდე, გვიჩვენებს თუ რაოდენ ძლიერი იყო სუმერული ელემენტის ზედმოქმედება შემდეგშიც.

წინათ გავრცელებული ახრი, თითქოს სუმერები ნამდვილად არც კი არსებულიყვნენ, ერთხელ და სამუდამოდ გააბათილა Eduard Meyer-ის შრომაში: „სუმერები და სემიტები ბაბილონში“, რომელშიც ეს პრობლემა პირველად იყო განხილული ფილოლოგიურის ნაცვლად, არქეოლოგიური მეთოდით და არქეოლოგიურ მასალაზე დაყარებით. მეორე მხრით, ამავე შრომაში ძალიან შეზღუდა ზემოხსენებულის საწინააღმდეგო შეხედულება, თითქოს ძველი ბაბილონური კულტურის შექმნაში სუმერებს უთუოთ უპირატესობა ჰქონია ბოდესთ. Ed. Meyer-ის კონცეფციის ზეგავლენით მეცნიერებაში აღნიშნული პრობლემა

დაახლოებით შემდეგნაირად იყო გადაჭრილი: სემიტე-  
ლი აკადელები თუმცა უძველეს ეთნიურ ელემენტს არ  
წარმოადგენდენ, მაგრამ კულტურული განვითარებისათვის  
სუმერებზე უფრო მომქმედნი ყოფილან. მას უკან თვალ-  
უწვდენი ახალი მასალა შეგვემატა, როგორც სულიერი,  
ისე ნივთიერი კულტურის დარგებიდან. დღეს შეგვიძლია  
უკვე ჩავიხედოთ ამ უძველესი ისტორიული ქვეყნის პრე-  
ისტორიულ ეპოქაში, რომელსაც ეგების მალე, მომავალი  
კვლევის წყალობით, ისტორიის შუქი მოეფინება. ამ უა-  
მად უკვე საგრძნობი ხდება, რომ Eduard Meyer-ის მა-  
ნამდე თითქმის საბოლოოდ მიღებული ფორმულა გადა-  
სინჯვას მოითხოვს. ჯერ ერთი რომ სუმერული კულტუ-  
რა ახლა გაცილებით უფრო ძველი დროიდანაა ცნობი-  
ლი, შემდეგ: თანდათან უფრო მეტად მულავნდება მისი  
ზეგავლენა სემიტების მთელს სულიერ ცხოვრებაზე, და-  
ბოლოს, ცხადი შეიქმნა მისი პირვანდელი უფრო ფართო  
გეოგრაფიული გავრცელება.

ყოველთვის ცნობილი იყო, რომ ბევრი გეოგრაფიუ-  
ლი სახელისა და ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოების,  
მაგ. პალმის, სახელწოდების გვერდით, მდინარეების სა-  
ხელებიც სუმერული იყო: ტიგროსის, ევფრატის და ამ  
უკანასკნელის აშორელ ჩრდილო-შენაკადის, ქაბურის, სა-  
ხელები სუმერულია. ახლა, სამარის ახლოს, ისტაბულატ-  
ში, ე. ი. უკვე საკუთრივ ბაბილონის გარეშე, შემთხვევით  
აღმოჩნდა ერთი ძველ-სუმერული სტატუეტი (ინახება  
ოქსფორდს), ხოლო მეორე ნაპოვნია კერკუკში (ბრიტანე-  
თის მუზეუმს ეკუთვნის); შემდეგ, აღმოჩნდილია ასუ-  
რის ორი უძველესი კულტურული ფენა, რომლებიც,  
აწინდელი ჩვენი შემეცნების მიხედვით, სუმერულად  
უნდა მივიჩნიოთ; ბოლოს, ტელ-ჰალაფის მეზობლად

რას-ალაინთან, ჩრდილო-მესოპოტამიაში, Freiherr v. Oppenheim-მა აღმოაჩინა ბაზალტის კოლოსალური ქან-დაკებანი, რომლებიც წინა-აღმოსავლეთიდან ცნობილთა-გან უძველეს ძეგლებს წარმოადგენს და მე-4 ათასეულის შუახანებით განისაზღვრება. მანამდე მხოლოდ ქაბურის სახელიდან („თევზის წყალი“) შეგვეძლო დაგვესკვნა სუ-მერების ფართო გავრცელება ჩრდილოეთისაკენ. ახლა, ზემოხსენებულ მონაპოვართა წყალობით, ეს გარემოება უნიშვნელოვანეს ფაქტორად იქცევა ეროვნულ—კულტუ-რულ დამოკიდებულებათა განსჯის დროს.

ლიტერატურული ტექსტები, რომლების გამოაშკარა-ვება განუწყვეტლივ გრძელდება, ადასტურებს და აფარ-თოებს სუმერული ელემენტის მნიშვნელობას სემიტების სულიერი და სახელმწიფოებრივი ცხოვრებისთვის. ასე, დღეს შეგვიძლია უკვე გამოვიცნოთ სემიტების სამართლის წიგნის სუმერული წარმოშობილობა.

გაცილებით უფრო ადრინდელი დროიდან ვეცნობით ახლა სუმერებს თიხის ფიცრების მეოხებით, რომლებიც ჯერ ცალკეულად ურს ან კიშს იქმნა ნაპოვნი, ხოლო შემდეგ, ამ უკანასკნელ წელს, დიდი რაოდენობით აღ-მოჩნდა კიშის ახლო ჯამდატ-ნასრში. ამ ფიცრებზე ჩვენ გავეცანით აქამდე ცნობილთაგან უძველეს დამწერლობას, რომელიც ჯერ ლურსმული არაა, მაგრამ აღარც ხატო-ვანია. ეს დამწერლობა სუმერულია და მისი აღმოჩენა შეუძლებლად ხდის ეგვიპტეში თავდაპირველად დაშვებუ-ლი შეცდომის გამეორებას: სახელდობრ, იმ დებულების წამოყენებას, თითქოს ეს უძველესი და ქ. წ. 3000 წლის შემდგომი კულტურისაგან ეგზომ განსხვავებული კულტუ-რა, რომელსაც ქვემოთ კიდევ შევეხებით, სუმერების არ ყოფილიყოს. სემიტებსაც ვპოულობთ. უკვე ამ უძველეს

ხანაში, ოლონტ ესენი პირდაპირ სომატურად გვევლინებიან და არა კულტურული ნაშთების საშუალებით. საქმე ისაა, რომ უძველეს სუმერულ საფლავებში ტელ-ალ-ყუბაიდს ნაპოვნი ჩონჩხები, როგორც გამოძიებამ დაამტკიცა, არაბებისაგან პრინციპულად არ განსხვავდებიან. აქედან უფლება არა გვაქვს დავასკვნათ, რომ სუმერები არაბების ახლო ნათესავები ყოფილან. ამას ეწინააღმდეგება პორტრეტებისა და ენის მოწმობა. პირიქით, რამდენადაც ჩვენ საზოგადოდ ადამიანის კვალის აღმოჩენა შეგვიძლია უძველეს ბაბილონში, სუმერები და სემიტები აქ ყოველთვის ერთად და განუყრელად გვევლინებიან. ამრიგად, ზემოხსენებული, სუმერულ ალ-ყუბაიდში ნაპოვნი ჩონჩხები ეკუთვნის აკადური რასის ინდივიდებს.

ხელოვნების ნაშთებიც იმავე დასკვნას გვიკარნახებს. სკულპტურის ნაწარმოებთა რაოდენობა გაიზარდა და ამ 20 წლის წინათ ცნობილი მასალა თვალსაჩინოდ გამრავლდა. უწინ შესაძლებელი, იყო სუმერებისა და სემიტების ერთმანეთში გარჩევა მარტივი კრიტერიების მიხედვით, უმთავრესად პირისახის ტიპისა, თმის, წვერის, ტანსაცმელისა და სამკაულის მიხედვით, თუმცა ასეთი მეთოდი ხშირად გაუგებრობას იწვევდა. ახლა კი ასე მარტივად მსჯელობა დაუშვებელია. მართალია, სუმერები და სემიტები სხვადასხვანაირად არიან ხოლმე გამოხატულნი, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ზემოხსენებული, მოდაზე დამოკიდებული ნივთებით ურთიერთშორისი გაცვლა წარმოებდა, ისე რომ მარტო ამ ნიშნების მიხედვით გარჩევა ამ ორი ეროვნებისა შეუძლებელია. სკულპტურის ძეგლები, რომლებიც ჩვენ ეხლა ხელთა გვაქვს, ზოგი 3000 წლით განისაზღვრება, ზოგიც 1800-ით ქ. წ., ისე რომ მთელი ეს მასალა დაახლოებით

12 საუკუნეზე განაწილდება. ამიტომ, მიუხედავად ამ მა-  
სალის გამრავლებისა, მარტო მისი მიხედვით ვერაფერს  
ვიტყვით ამ ხელოვნების მთლიანობისა თუ, პირიქით,  
ორმაგი დასაბამის შესახებ. და თუ ჩვენ მაინც ამ საკით-  
ხის შესახებ მსჯელობა შეგვიძლია, ეს იმიტომ რომ სხვა  
მასალაც მოგვეპოვება, რომელიც სრულიად საკმაო რაო-  
დენობით წარმოდგენილია მთელი ხსენებული პერიოდი-  
სათვის და კიდევაც გაცილებით უფრო აღრინდელი ხა-  
ნითგანაა ცნობილი. ეს არის: საბეჭდავები.

ამ დარგის მეცნიერული დამუშავება ეხლახან იდგამს  
ფეხს, რადგან მისი წმინდა არქეოლოგიური მნიშვნელობა  
საკმაოდ დაფასებული არაა. ბეჭდების შესახები შრომე-  
ბის მეთოდი, უმეტეს შეძთხვევაში, გამსჭვალულია ინტე-  
რესით გამოხატული საგნისადმი, როგორც ეს. ძველად  
კლასიკურ არქეოლოგიაში იყო. ამ შემთხვევაში ეს არის  
მაშასადამე, უმთავრესად მითოლოგიური და სარწმუნოე-  
ბის ისტორიის ინტერესი. რადგანაც ასე თუ ისე (პატ-  
რონისა თუ წარწერის მიხედვით) დათარიღებული ბეჭ-  
დები სრულიად საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება, ჩვენ  
შეგვიძლია ბეჭდების მთელი მასა ისტორიულად დავალა-  
გოთ და თანმიმდევრობის გვერდით სტილისდა მიხედვით  
ჯგუფებად დავანაწილოთ. ამრიგად, სწრაფად ირკვევა, რომ  
ბეჭდების სტილი ყოველთვის შეესატყვისებოდა თანა-  
დროული ხელოვნების სხვა ნაწარმოებთა სტილს. მაშასა-  
დამე, ხელოვნების არქეოლოგიისათვის ბეჭდებს შეძლევი  
მნიშვნელობა აქვს: ესენი წარმოადგენენ იმ ფართო ნია-  
დაგს, რომელზედაც აღმართულია ხელოვნების სხვა ნაწარ-  
მოებნი. ეს უკანასკნელნი ერთმანეთთან გადაუბმელ — დაუ-  
კავშირებლად დარჩებოდენ, ბეჭდები რომ არა გვქონდა.  
ბეჭდები კი არავითარ ეჭვს აღარა სტოვებენ ამ დიდი

ხელოვნების მთლიანობისა და ზრდის შესახებ. ბეჭდების შესწავლით მტკიცდება, რომ ხელოვნების განვითარება უცილობლად მთლიანი იყო დაწყებული დაახლოებით 3000 წლით დათარიღებული ძეგლებიდან ვიდრე „ბაბილონის პირველი დინასტიის“ და მასთან ძველბაბილონური კულტურის დასასრულამდე მე-18 საუკუნეში ქ. წ. ჩვენ რომ სხვა სკულპტურული ძეგლების შესწავლით დავკმაყოფილებულიყავით და შეგვედარებინა სხვადასხვა ეპოქის სანიმუშო ნაწარმოებნი—მაგალითად ურნინას აღთქმის ფიცრები, კანატუმის ძერიანი სტელა, სარგონ აგადელის სტელა, ნარამ-სინის გამარჯვების სტელა, გუდეასა და ჰამურაბის ქანდაკებანი—აღვილად წარმოვიდგენდით სუმერული და სემიტური ხელოვნების გვერდიგვერდ არსებობას ძველ ბაბილონში. ბეჭდები კი გვიშულავნებს მთლიანს, ერთიანს და უწყვეტელ განვითარებას.

ამგვარად, ხელოვნების არქეოლოგია კვლავ იმავე კითხვის წინაშე გვაყენებს, თუ ამ ორი, თავიდანვე განურელი ერისაგან რომელი იყო ძველბაბილონური ხელოვნების ნამდვილი შემოქმედი. გამოკვლევის საგანს ნაწილობრივ დაშორებული მოსაზრებანი მაიძულებს ეს კითხვა სავსებით სუმერების სასარგებლოდ გადავწყვიტო. რავის ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ დამწერლობისა და მასთან ერთად ლიტერატურის დიდი, აღბათ უდიდესი, ნაწილის შემქმნელნი სუმერები იყვნენ. ამგვარადვე უეჭველია, რომ სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელიც თავისთვად თითქმის არა-სემიტურის შთაბეჭდილებას ახდენს, აგრეთვე სუმერების შექმნილი იყო. ხოლო სახვითი ხელოვნების დარგში სემიტებს საზოგადოდ თანდაყოლილი უნიჭობა ახასიათებს. ასურეთის სახვითი ხელოვნება ჩნდება

მხოლოდ მას უკან, რაც რასობრივ დაუძლურებული სე-  
მიტური ელემენტი თავს ივსებს უცხო მოდგმის მთელი  
ტომების ასურეთში გადმონერგვის საშუალებით. არა-  
მეელებსა და ებრაელებს თავის დღეში არ შეუქმნიათ  
რაიმე მნიშვნელოვანი სახვითი ხელოვნება. ხოლო მაგ.  
ჩრდილო-სირიაში, საცა პირველი ათასეულის დამდეგით-  
გან არამეულმა მოსახლეობამ შეცვალა უფრო ძველი, ხე-  
თური კულტურის წრის ფენა, არამეული ბატონობისას  
შექმნილი ხელოვნება სავსებით ხეთურივე დარჩა. ფინი-  
კიელებმა გამოაცალეს ეგვიპტურს და, ნაკლებად, ბაბი-  
ლონურ ხელოვნებას მისი სიმბოლური და სარწმუნოებ-  
რივი შინაარსი და ასე შექმნეს სავსებით სემიტური აბ-  
სტრაქცია, რომელსაც თავისთავად უდიდესი მნიშვნელობა  
ჰქონდა, რადგან ამ ხელოვნებას მხოლოდ ასეთი ფინი-  
კიური აბსტრაქციის სახით შეეძლო საექსპორტოდ გა-  
მომდგარიყო, ბერძნებისათვის მისაღები ყოფილიყო და  
ეგზომ ძლიერი გავლენა მოეხდინა ახლად აღმოცენებულ  
ელინურ ხელოვნებაზე. მაგრამ ფინიკიელებსაც სხვა სემი-  
ტებსავით ხელოვნებაში შემოქმედების უნარი არა ჰქო-  
ნიათ. დასასრულ, ყველა აქა თუ იქ შემჩნეული მოვლენები  
აშკარად მეორდება ისლამური ხელოვნების წარმოშობისას.  
სემიტურ-არაბული ელემენტი აქაც როგორც შემოქმედი  
კი არ გამოდის, არამედ როგორც მააბსტრაქტირებე-  
ლი და აბსტრაქციის საშუალებით შემაზავებელი და ახა-  
ლი ერთეულის დამფუძნებელი. ყველა ამისდა მიხედვით,  
ძველი ბაბილონის მხატვრული კულტურის ნამდვილ შე-  
მოქმედად და მატარებლად სუმერობა უნდა მივიჩნიოთ.

აქამდე ყურადღება არავის მიუქცევია ერთი გარე-  
მოებისათვის, რომელსაც, როგორც სულ უკანასკნელი  
აღმოჩენები გვაფიქრებინებს, მალე ძირითადი მნიშვნე-

ლობა უნდა მიეცეს არა მარტო წინა-ალმოსავლეთის, არამედ მთელი აზიის ეროვნულ-კულტურული ურთიერთობის გასაგებად უძველეს ხანაში. უკვე 20 წელიწადია რაც ვიცნობთ ელამის დედაქალაქის, სუზის, უძველეს კულტურულ ფენებს, რომლებსაც, სპილენძისა და ბრინჯაოს იარაღის გარდა, განსაკუთრებით ახასიათებს საოცრად სრული მოხატული კერამიკა. უეჭველია, რომ მთლიანად ეს კერამიკა ელამური ისტორიის დასაწყის ხანას ეკუთვნის. ეჭვს გარეშეა აგრეთვე, რომ იქ ორი კლასის კერამიკა მოიპოვება; ამ კლასებს იმთავითვე სუზა I და სუზა II უწოდეს. მათგან სუზა II განსაზღვრულია მე-4 ათასეულის დასასრულით და მე-3-ის დასაწყისით, რადგან თავისი შინაარსით იგი მჭიდროდ დაკავშირებულია წარწერებით დათარიღებულ უძველეს სამხრეთ-ბაბილონურ ნაშთებთან. სხვა ყველაფერი, განსაკუთრებით ორივე სახეობის ურთიერთშორისი შეფარდებითი დათარიღება, საეჭვოდ მიმაჩნია. საქმე ისაა, რომ თვითონ გათხრა და გათხრილი ფენები დამაკმაყოფილებლად ადგილობრივ ვერ ასწერეს, აღწერა წინააღმდეგობითაა სავსე, ისე რომ ყოველი მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც მას ანგარიშს გაუწევს, აუცილებლად მცდარ დასკვნებს გამოიტანს. ამ კერამიკასთან ერთად სუზის უძველეს ფენებში ნაპოვნია წერილობითი ძეგლებიც. ამათი ე. წ. პროტოელამური დამწერლობა, რომელმაც შემდეგ ელამურ ლურსმულს დაუთმო ადგილი, ჯერ წაუკითხავია.

ამგვარად, უძველესი ელამური კულტურა თავიდანვე არსებითი ნიშნებით განსხვავებული ჩნდა მეზობელი სუმერული კულტურისაგან. დღეს ეს შთაბეჭდილება ოდნავ მოდიფიცირებულია. უახლესი აღმოჩენების მეოხებით. სხვაობა იმიტომაა განმაცვითრებელი, რომ სუმერულსა

და ელამურ ტერიტორიებს შორის გეოგრაფიული საზღვარი არ არსებობს და პირდაპირ წარმოუდგენელია, რომ ეგზომ მჭიდროდ დამეზობლებულ ორ პუნქტში, ერთსა და იმავე დროს ორი დამოუკიდებელი, საკუთარი დამწერლობის მქონე კულტურა წარმოშობილიყო. ელამური და სუმერული ტერიტორიების ისტორიული განვითარების მსვლელობა თავიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული, რაც სავსებით შეეფერება გეოგრაფიული საზღვრის უქონლობას. ორივე მხარე, მაშასადამე, ნამდვილად მხოლოდ ეთნიურად და ენობრივად განსხვავდება.

მოხატული კერამიკით დახასიათებული კულტურის კვალი სუმერულ ტერიტორიაზე ბოლო დრომდე სრულებით არ ჩნდა. აქა-იქ გაბნეული ნატეხები, რომელთაგან ორი თუ სამი ცალი ტელოსა და ფარაში აღმოჩნდა, სხვაგნით უნდა ყოფილიყო შემოტანილი, და მიუხედავად ახალი აღმოჩენებისა, რომლებიც კიდევ უფრო აღრინდელ ხანას ეკუთვნის, ფაქტია რომ მთელი მე-3 და მე-2 ათასეულის განმავლობაში არც ბაბილონს და არც ასურეთს მოხატული კერამიკა არ უწარმოებიათ.

მოხატული კერამიკით დახასიათებული კულტურა მას უკან შემდეგ ადგილებში შეამოწმეს: იმავე დროს, როდესაც სუზის კერამიკიანი ფენები აღმოაჩინეს, ასეთივე კულტურა აღმოჩნდა მეზობელ მთიან მხარეში ჩრდილოდასავლეთით; უმნიშვნელოვანესი სადგური აქ არის ტეპე-მუსიანი. მალე ამის შემდეგ მოხატულ-კერამიკიანი საფლავები აღმოჩნდა, უმეშვეოდ მე-9 საუკუნის ისლამური ნაგებობის ქვეშ, სამარაში ტიგროსის აღმოსავლეთ ნაპირზე, უკვე საკუთრივ ბაბილონური დაბლობის გარეთ. ამ კერამიკას აქვს კავშირი სუზა II-სა და ტეპე—მუსიანთან და ნაკლებად სუზა I-თან. სამარის კერამიკის სუზი-

სეულის თანადროულად აღიარებას მე დიდხანს ვეწინააღმ-  
დეგებოდი, განსაკუთრებით იქ ნაპოვნი პატარა ოთხ-  
კანტიანი რკინის სატევრის გამო, და ეს შეხედულება,  
სხალი აღმოჩენების მეოხებით, დღეს უცილებელი შეიქ-  
მნა. ასურის ეჭსპედიციამ სამარის კერამიკა დააუასტუ-  
რა სხვა ადგილებშიც ტიგროსის გასწვრივ ჩრდილოეთი-  
საკენ. თვით ასურში კი, რომლის ორი უძველესი ფენა  
ჯერჯერობით რამდენიმე საუკუნით უფრო მერმინდელი  
ჩანს (თუმცა ეს სრული უეჭველობით დადგენილი არაა)  
მოიპოვება ცოტად უფრო მარტივად მოხატული კერა-  
მიკა, მაგრამ ეს უკანასკნელი არც სამარას, არც მუსიანს  
და არც სუზას არ ეკუთვნის: განმაცვითებელია, რომ  
ასურის ეს უძველესი ფენები სუმერულია; ესენი წარ-  
მოადგენენ სამხრეთ-ბაბილონის კულტურის ჩრდილო-  
სახეობას, რომელსაც მხოლოდ ადგილობრივი ხასიათის  
სხვაობა ემჩნევა.

სამარის კერამიკას შორის იპოვეს რამდენიმე უჩვე-  
ულო ცალი, რომლებიც ეჭსპერტებმა მაშინ მინოსურად  
ანუ კრეტულად, ან კიდევ ძველ-მცირე-აზიულად, ე. ი.  
ხეთურად, მიიჩნიეს. ნამდვილად კი Freiherr von Oppen-  
heim-ის თანადროულმა აღმოჩენებმა ტელ-ჰალაფში და-  
ამტკიცა, რომ ეს ცალები ეკუთვნის ჩრდილო-მესოპოტა-  
მურ წრეს, რომელიც ჩვენთვის ტელ-ჰალაფითაა წარმოდ-  
გენილი. როგორც ტელ-ჰალაფში ნაპოვნი რამდენიმე  
უჩვეულო ცალი სამარიდან ანუ სამარით წარმოდგენილ  
ტერიტორიიდანაა. შემოტანილი, ისე სამარული ცალკე-  
ული ეგზემპლარებიც ჩრდილო-მესოპატამურ იმპორტს  
წარმოადგენს. მაშასადამე, ტელ-ჰალაფისა და სამარის  
სხვაფრივ მკაფიოდ განსხვავებული კულტურები თანა-  
დროულია და ტეპე-მუსიანსა, და სუზა II-სთან ერთად ქ.

შ. 3000 წლით განისაზღვრება დაახლოებით. სამარაში ნაპოვნი ტელ-ჰალაფური ნატეხები რომ პირველად მინოსურად თუ ხეთურად მიიჩნიეს, ეს სავსებით დასაბუთებულიც იყო, რადგან ტელ-ჰალაფის კერამიკა, გეოგრაფიული მდებმარეობისდა შესაფერისად ახლო დაკავშირებულია დასავლეთის ქვეყნებთან. აქ საკმაო იქნება აღინიშნოს, რომ სომხეთისა და კავკასიის, დასავლეთიდა შიდა-მცირეაზიის, ბალკანეთის და, ბოლოს, ბერძნული კუნძულებისა და კრეტის უძველესი ნაშთები ახლო ენათესავება სამხრეთ-აღმოსავლეთის სადგურების კულტურას. ნათესაობა იმდენად მჭიდროა, რომ გვერდს ვეღარ ავუხვევთ იმ კითხვას, თუ რაზე იყო დამყარებული ეს დამოკიდებულება.

მეორე მხრით, ამავე კულტურულ წრეს შეგვიძლია სამხრეთ-აღმოსავლეთითაც გავყვეთ უფრო შორს. სპარსეთის უბის პირას, რეშაპრში, ბუშირეს ახლოს, ნაპოვნი იყო ტლანქი, მაგრამ ტეპე-მუსიანისა და სამარისეულის ახლო მონათესავე კერამიკა. ჩვეულებისამებრ იგი ეკუთვნის ადრეულ ბრინჯაოს კულტურას. გაცილებით უფრო გვიან რეშაპრი გახდა მარგალიტით ვაჭრობის მთავარი პუნქტი. ის გათხრები, რომელიც მე ამ ბოლო დროს შიდა-სპარსეთში ჩავატარე, ამტკიცებს, რომ მარგალიტით ვაჭრობა აქ უკვე პრეისტორიულ ხანაში ხარობდა. მაშასადამე, უფლება გვაქვს ამავე კულტურულ წრეს მი-ვაკუთვნოთ მარგალიტების კუნძულის, ბაჰრაინის, უძველესი ყორლანებიც, რომლებშიც მე-3 ათასეულის სხვა ნაშთებიც აღმოჩნდა, თუმცა უმეშვეოდ შესადარებბლი ნიმუშები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

უკანასკნელი ხუთი წლის აღმოჩენებმა სუმერულ ნანგრევებში აბუ-შაჰრაინს, ტელ-ალ-ყუბაიდს, ურს, კიშს,

და კიშის ახლოს ჯამდატ ნასრული, ე. ი. ბაბილონის ალუ-  
ვიური ქვეყნის არაბული კიდის გასწვრივ უძველეს სა-  
მოსახლო ადგილებში, თითქოს წარხოცა ის მკვეთრი  
მიჯნა, რომელიც საზღვრავდა ორ უძველეს მეზობელ  
კულტურას, სახელდობრ, ელამურ მოხატულ-კერამი-  
კიანსა და სუმერულ უკერამიკო კულტურას. ტელ-ალ-  
უბაიდს და აბუ-შაჰრაინში (შეიძლება მხოლოდ ამ უკა-  
ნასკნელის გაიგივეება ძველ ერიდუსთან) ნაპოვნია რეშა-  
ჰრის კერამიკა ისეთ ფენებში, რომლებიც დოკუმენტა-  
ლურად განისაზღვრება მე-4 ათასეულის უკანასკნელი  
საუკუნეებით ქ. წ.. თავისი ტექნიკით, გამოწვითა და თი-  
ხით ეს კერამიკა სამარისას ძალიან უდგება; სამარის ნა-  
წარმოებს წააგავს იგი იმითაც, რომ თითქმის მუდამ  
გადამწვარია. ესევე ახასიათებს ბერძნული კუნძულების  
უძველეს ფაბრიკატებს, რადგან სიცხის რეგულირება მა-  
შინ ჯერ კარგად არ იცოდენ. ამავე მიზეზის გამოისო-  
ბით სუზა I-ის ნაწარმოებს თითქმის ყოველთვის გამო-  
წვა აკლია. სუზური კერამიკის ორი ჯგუფიდან სუმე-  
რულ ნაწარმოებს უფრო ახლობელი დამოკიდებულება  
აქვს სუზა II-სთან. მხატვრული თვალსაზრისით როგორც  
სამარა ისე სუზის ორივე სტილი სუმერულ ნაწარმოებზე  
გაცილებით უფრო მაღლა დგას. ამ დამოკიდებულებათა  
გასარკვევად კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცა  
ურის გათხრას, იმიტომ რომ იქ კერამიკიან საფლავებში  
ნაპოვნი იყო მრავალი სხვა საგანიც. წასაოცარის სიუ-  
ხვით აღმოჩნდა იქ ბრინჯაო, საომარი და სამეურნეო  
იარალი, ჭურჭლეულობა, ოქრო და ვერცხლი, როგორც  
საზეიმო იარალი ისე სამკაული. როგორც ჩანს, წმინდა  
სპილენძისა და ბრინჯაოს განსხვავება ხომ თანდათანობით

გარდამავალია და ბრინჯაოს რაოდენობა საკმაოა იმისა-  
თვის, რომ მთელი ეს კულტურა აღრეულ ბრინჯაოს ხა-  
ნას მივაკუთვნოთ. კიშის გათხრა საგრძნობლად ამრავ-  
ლებს ამ მასალას. ხოლო განათხარი ადგილების რაოდე-  
ნობა უკვე იმდენად თვალსაჩინოა, რომ გვიჩვენებს ყვე-  
ლა ადგილობრივ სხვაობასა და ნიუანსებს, დაახლოებით  
ისე როგორც ეს ახასიათებს ხოლმე სხვადასხვა თანამედ-  
როვე სახელოსნოების თუ ოსტატების ნაწარმოებს. ამი-  
ტომ, დღეს უკვე შეგვიძლია ამ განათხრების ქრონოლო-  
გიური დაჯგუფება ვცადოთ. ესენი რამდენსამე საფეხუ-  
რად განიყოფებიან და, რამდენადაც დღეს-დღეობით ჩანს,  
რამდენიმე საუკუნის სიგრძეზე განაწილდებიან. ამისდა მი-  
ხედვით ეს კულტურები მიეკუთვნება პერიოდს დაახლოე-  
ბით 3500-იდან 3100-მდი ქ. წ. სულ ბოლოს, ჯამდატ-  
ნასრის გათხრამ ერთი შედეგი მოგვცა, რომელიც მთლად  
მოულოდნელი არ ყოფილა და ზემოთ კიდევაც გაკვრით  
მოვიხსენიეთ: მთელი ამ მხარისათვის უძველეს ნაშთებთან  
ერთად აქ, ჯამდატ-ნასრის საფლავებში, აღმოჩნდა წე-  
რილობითი ძეგლების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ამ  
ძეგლების დამწერლობა ხატოვანი აღარაა, მაგრამ ჯერ  
კიდევ ლურსმულად ქცეულიც არ არის.

ამ უკანასკნელ, მეტად საყურადღებო გარემოებიდან  
უმაღლეს გამომდინარეობს ორი მნიშვნელოვანი დასკვნა. პირველი: ბაბილონის უძველესი კულტურული ფენები,  
დაახლ. 3500 წელს ქ. წ., უკვე სუმერებს ეკუთვნის, და  
მეორე: აქ დასაწყისის წინაშე კი არ ვდგევართ, არამედ  
მანამდე უკვე ხანგრძლივ განვითარებას უნდა ჰქონოდა  
ადგილი. მონადირეებსა, მესაქონლეებსა თუ პრიმიტიულ  
მიწათმომქმედებან კი აღარა გვაქვს აქ საქმე, არამედ  
ისეთ ერებთან, რომლებიც უკვე სახელმწიფოებრივ ორ-

განიზირებული იყვნენ, რომლებსაც მრავალგვარი ხელოს-ნობა-ხელოვნების გვერდით ჰქონდათ უკვე მეცნიერებაც. ამის კონტატირება შეუძლებლად ხდის უკვე დაშვებული შეცდომების გამეორებას, როდესაც ლაპარაკი არის ამ კულტურის დამოკიდებულების ახსნაზე ინდოეთის თუ ჩრდილოეთის უძველეს ბრინჯაოს კულტურებთან: ინდოეთის გაცილებით უფრო მერმინდელი და უსაფუძვლოდ „ინდო-სუმერულად“ წოდებული განათხრების მიხედვით რასაკვირველია არ შეძლება დავასკვნათ სუმერების შთა-მომავლობა ინდოეთიდან. ამდენადვე დაუჯერებელია, რომ იქ, საცა იწყება ამ ძველი კულტურის კონტაქტი ევროპასა თუ ჩრდილო-აზიასთან, უნდა ვიგულისხმოთ ამ უაღრესად განვითარებული სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების კულტურული დამოკიდებულება მონადირეებისა და ბესაქონლეებისაგან, რომლებიც განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე შეჩერდენ.

მიჯნა ორ მეზობელ, სუმერულსა და ელამურ კულტურებს შორის თითქოს წარხოცილი ჩანდა, მაგრამ ნამ-დვილად არ წარხოცილა. საქმე ისაა, რომ, ჯერ კიდევ 3000-მდი ქ. წ., მოხატული კერამიკა სუმერიდან ქრება. თუმცა ეთნიურ გადაჯგუფებას ადგილი არ ჰქონია, ხელოვნების ამ ერთ დარგში სტილი გამოიცვალა. ასეთსავე მოვლენას უძველეს ეგვიპტეშიც ვხვდებით. იძულებული ვართ აღვიაროთ, რომ ბაბილონის დასაბამ ხანაში, რომელიც ეს არის ეხლა ხდება ჩვენთვის მისაწვდომი, სუმერული კულტურის შემოქმედებაში ორი ეროვნების, სუმერებისა და სემიტების გვერდით, მესამე ეთნიური ელემენტიც იღებდა მონაწილეობას. ეს უკანასკნელი ახლა უფრო ნიშანდობლივ უნდა ~~თავათას~~ იათოთ.

შოხატულჩ კერამიკით დახასიათებული კულტურის არქეოლოგიური ნაშთების შემცველი ადგილების რიცხვი მოულოდნელად გამრავლდა ჩემი უკანასკნელი მოგზაურობის დროს. მანამდი ასეთ ადგილებს ერანული ზეგანის დასავლეთ კიდეზე ვიცნობდით, ახლა კი ცხადი ხდება, რომ ისინი მთელს ზეგანზე ვრცელდება. გარდა ამისა, ის რასაც ბაბილონში მხოლოდ ათეული წლების გათხრების შედეგად მივაღწიეთ, ერანულ ზეგანზე ყველგან ახდილად თვალწინაა გადაშლილი. ამიტომ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ კულტურის ნამდვილი სამშობლო სწორედ ზეგანია, ხოლო დასავლეთის ადგილები მის განშტოებას წარმოადგენს. ასეთი შეხედულება საუკეთესოდ ახსნიდა უკვე წინათ შენიშნულ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს დასავლეთის ადგილებას და ქვემოთ განსახილველ მონათესავე ადგილებს შორის ჩრდილო და აღმოსავლეთ კიდეებზე. ახალი ფაქტები შემდეგია:

პერსეპოლში მოიპოვება სუზა I-ის კერამიკა და მსგავსება აქ ისეთია, რომ განმასხვავებელი ნიშნები აქამდე ვერ დამიდგენია. სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქირმანში, და, პერსეპოლის ჩრდილოეთით ხოლო სუზის აღმოსავლეთით, ქალაქ ისპაანში, გვხვდება ქვისა და ბრინჯაოს ნივთები, რომლებიც ამ აღრეულ კულტურას ეკუთვნის. ისპაან-ჰამადანს შორის, გულპაიგანისა და ნეპავენდის ახლოს, ორ ბორცვში აღმოჩენილია კერამიკა, რომელიც ერთმანეთისაგან მხოლოდ იმდენად განსხვავდება, რამდენადაც საზოგადოდ გვერდი-გვერდ მომუშავე ორი ხელოსანის ნაწარმოები განსხვავდება ხოლმე. ამ კერამიკას შორის მოიპოვება მთელი რიგი ისეთი ნიმუშებისა, რომლებიც იმდენად ემსგავსება სუზა II-ის საუკეთესო ნი-

მუშებს, რომ მათი გარჩევა, ფაბრიკატისა, ფორმისა და მოხატულობის მხრით შეუძლებელია. ამ ორ ადგილს ყველაზედ უფრო დიდ მნიშვნელობას ის გარემოება ანიჭებს, რომ აქ, კერამიკის გვერდით, უხვად არც წარმოდგენილი ბრინჯაო, ვერცხლი, ოქრო და ქვის საბეჭდავები. რადგან კერამიკა სუზა II-ისეულია, თარიღიც უკვე ამით დადგენილი არის, დაახლ. 3000 წ. ქ. წ. მაგრამ: ამას გარდა, ბრინჯაოს იარაღი, საპირფარეშო საგნები, ბრინჯაოსი და ვერცხლის ქინძისთავები, ვერცხლისა და ოქროს საყურეები, დიადემები და სხვა სამკაული ნივთები ზედმიწევნით უდგება სუმერულ ურში აღმოჩენილ უძველეს ნაშთებს, რომლებიც დათარიღებული უნდა იქმნას 3100 წლ. ქ. წ. საბეჭდავები კი, რომლებსაც ღილის ფორმა აქვს, სავსებით ემსგავსება სუზაში ნაპოვნ საბეჭდავებს. ასეთივეა ძველ-მცირეაზიული საბეჭდავების დიდი რაოდენობა, ისე რომ ესენიც გაცილებით უფრო ძველ ხანას ეკუთვნის ვიდრე აქამდე ეგონათ და მე-4 ათასეულის დამდეგით უნდა განისაზღვროს. აღსანიშნავია, რომ ამ კერამიკაზე რამდენიმე პრედინასტურეგვიპტური კერამიკის მოტივიც გვხვდება, ხოლო სპილენძის ნივთებს შორის ეგვიპტის უძველესი თიხის ფიგურების, ე. წ. „მოტირალი ქალების“ შესატყვისი გამოქანდაკებულებანიც მოიპოვება. მეორე მხრით, აქ აღმოჩნდა ისეთივე საყურეები, რომლებიც ჩრდილო-ევროპაშია ნახული და ქვის ხანიდან უძველეს ბრინჯაოს ხანაში გარდამავალ ეპოქას ეკუთვნის. ამ ორმა გარემოებამ უნდა მოგვამზადოს იმისათვის, რომ, ერთხელაც არის მაინც, დაგვიდასტურდება კულტურული დამოკიდებულება ამ უძველეს ხანაში სრულიად მოულოდნელი სივრცეებისათვის.

ჩრდილო-დასავლეთისაკენ ამ უძველესი კულტურის არსებობა დამოწმებულია რამდენსამე ბორცვში ბაბილონიდან ეკბატანაში მიმავალ გზაზე (მაგ. ჰარუნაბადსა და დინავერში). მასალის საკმაოდ დიდი რაოდენობა კუმრუდის ახლო მდებარე ბორცვიდან მომდინარეობს ისპანიდან თეირანში მიმავალ გზაზე. მაგრამ აქ უკვე შესამჩნევი ხდება სხვაობაც: ჰარუნაბადში თუ სუზა I-ის კერამიკა გვაქვს, აქ სჭარბობს წითელი თიხა, წითელი ფაიანსით ხელოვნურად გამუქებული, მოხატულობა შავია, თუმცა არსებითად იმავ ხასიათისაა. ხოლო კუმრუდში ნაპოვნი კერამიკა რაგესშიც გვხვდება თეირანის ახლოს, ოღონდ აქ ფორმების, ფერების და მხატვრობის მეტი სიმდიდრე ჩანს. დასავლეთისაკენ უკვე წინათ სხვა-დასხვა დროს აღმოუჩენიათ ძველი კერამიკა აღერბეი-ჯანში, ურმიის ტბის სანახებში. აღმოსავლეთისაკენ ყველაზედ უფრო შესანიშნავია ერთი ბორცვი ძველი ჰეკატომპილოსის ახლოს, რომელიც, როგორც ეტყობა, ჩვეულებისამებრ მარტო სასაფლაოს კი არ წარმოადგენს, არამედ ამ უძველესი კულტურის საქალაქო სამოსახლოს ნაშთია. იქაური კერამიკა უკიდურეს ტექნიკურ დახელოვნებას ამჟღავნებს, თუმცა მხატვრული ღირებულებით სუზა I-ის ნაწარმოები ყველას სჯობნის. კიდევ ერთს ნაპიჯს აღმოსავლეთისაკენ დარაგაზში მივყევართ (დღევანდელი რუსული საზღვრის ახლოს), რომლის კერამიკა კვლავ შესანიშნავად უახლოვდება სამარისას. დარაგაზი ანაუს მახლობლად მდებარეობს. ხოლო ანაუს კერამიკა (რუსეთის თურქისტანში), რომელიც Hubert Schmidt-მა გამოიკვლია, დიდი ხანია რაც შუა-აზიის პრეისტორიისათვის ფიქსირებული პუნქტის როლს თამაშობს. მაშასადამე, გადასვლა ერანის ზეგანიდან თურქისტანის დაბ-

ლობზე უწყვეტლად ხდება. ახლა სამხრეთისაკენ რომ მივბრუნდეთ, აქ გვაქვს სისტანური აღმოჩენები მდ. ჰელ-მანდის ძველ დელტაში ჰამუნის ტბასთან, Sir Aurel Stein-მა ამ კერამიკის პირველი ნიმუშები უკვე 1916-17 წლებში იპოვა და ნაწილობრივ გამოაქვეყნა კიდეც. მან იმთავით-ვე დაუკავშირა ეს განათხრები არქეოლოგიურს მონა-პოვარს ბელუჯისტანსა და ინდო-ავღანურ საზღვარზე (ეს ცნობები ნაწილობრივ წერილობითი გზით მომაწოდეს). ამგვარად სამხრეთისაკენაც უწყვეტლივ ხდება გადასვლა ერანული ზეგანიდან ვიდრე ინდუსის ვაკემდე.

ყველა ზემოხსენებული ფაქტები შემდეგს მთლიან წა-რმოდგენას იძლევა: პრინჯაოს უძველეს ხანაში, დაახლო-ებით მე-4 ათასეულის მეორე ნახევარში, მთელს ერა-ნულ ზეგანზე გავრცელებული იყო ერთი და, ადგილობ-რივი ხასიათის განხრებს გარდა, თანაბარი კულტურა, რომელიც დღეს ჯერ კიდევ პრეისტორიულად უნდა მი-ვიჩინოთ. მანამდე ცნობილ ადგილთაგან: სამარა, მუსი-ანი, სუზა და რეშაპრი წარმოადგენენ ამ დიდი კულტუ-რის უკიდურეს რასაკლეთ შტოს; ანაუ უკიდურესი ჩრდი-ლოეთი. შტოა; და ზოგიერთი ადგილები ინდუსის არეშა აღნიშნავენ უკიდურეს აღმოსავლეთ შტოს; ჩვენ უფლება აღარა გვაქვს სუზა I და II იზოლირებული ელამური კულტურის წარმომადგენლებად მივიჩიოთ, ხოლო ანაუ ისევე განმარტოებული თურქისტანული კულტურის წარმომადგენლად ჩავთვალოთ, არამედ უნდა დავინახოთ აქ დიდი ერთეული, რომლის არსებობამ გავლენა იქონში სუმერის უძველესად ცნობილ ფენებზე და რომელიც უახლოესად ენათესავება ჩრდილო-მესოპოტამიის, ამიერ-კავკასიის, აღმოსავლეთი და დასავლეთი ანატოლიის, აგ-რეთვე ბერძნული კუნძულების და ბალკანეთის უძველეს

ნაშთებს (ანატოლიისათვის ეს ნათესავობა დოკუმენტა-ლურადაა დადასტურებული თანაბარი ბეჭდების საშუალებით). მაშასადამე ისე გამოდის, თითქოს აქ მთიელთა კულტურასთან გვქონდეს საქმე, რომელიც უპირისპირ-ზება ბარელთა კულტურას. ამიტომ უნდა ვიკითხოთ: არსებობს თუ არა ენობრივი ფაქტები, რომლებიც ეთ-ნიურ დამოკიდებულებას ადასტურებდეს?

ჩვენ ვიცნობთ ელამის ენას და ვიცით, რომ ის ეგზომძნელი გასარკვევი კავკასური ენების ოჯახს ეკუთვნის, რომელსაც რუსული სკოლა აწ „იაფეტურს“ უწოდებს. ელამის ჩრდილოეთით, მონაპირე მთებში, სახლობდენ კასიტები (ანუ ბერძნულად „კოსეელნი“, ბაბილონურად „კასე“), რომლებიც თითქმის მთელი მე-2 ათასეულის განმავლობაში ბაბილონს ჰავლობდენ და, საკუთარი სახელების მიხედვით, ელამურის მონათესავე ენას ლაპარაკობდენ. მეზობლად მყოფი პატარა ტომები, როგორც ლულუ, ელი, გუთი, ამათსავე წრეს ეკუთვნიან. ეს ენები მრავლობითს აწარმოებენ „პ“-სუფიქსის საშუალებით, ე. ი.: ლულუ პ(ი), ელი-პ(ი), კასი-პ(ი), და დიდი ხანია უკვე გამოთქმული იყო ის აზრი, რომ ბერძნული სახელი „კასპიოი“ მხოლოდ ადგილობრივი მრავლობითის, „კასიპ“-ის, გაღმოცემა უნდა ყოფილიყო. ხოლო ბერძნული „კასაიოი“ უნდა წარმოადგენდეს იმავე სახელის, „კასე“-ს, ბაბილონურად გადაფორმებული მხოლობითის არაპირდაპირ გაღმოცემას. კასპიელთა კვალი და-მოწმებულია ერანული ზეგანის მთელს ჩრდილო დასავლეთში და ეგების იმას იქითაც ჩრდილო-აღმოსავლეი-საკენ. შემდეგ მიჰყვება სომხეთის მთების უძველესი მოსახლეობა, ურარტელები, რომლების ბევრად უფრო ნა-გვიანევი წარწერები 6. მარმა აწ უკვე ნამდვილად

წაიკითხა და იმავე ოჯახისად სცნო. ჩრდილო-მესოპოტა=  
მიის უძველესი მოსახლეობის ენაც, მიტანური, ამავე  
ოჯახს უნდა მივაკუთვნოთ. ამავე ოჯახის წრეში შედის  
მთელი რიგი ძველ-მცირეაზიული დიალექტებისა, ე. ი.  
ბოლაზკეოის დოკუმენტებს; შორის აღმოჩენილთაგანი  
და აგრეთვე ალბათ ლიდური და ლიკური ენები. თუმცა  
ჩვენი წარმოდგენა ამ ენების შესახებ დღეს-დღეობით  
მეტად სქემატურია, მაინც, ყველა ნიშნებით, არქეო-  
ლოგიური და ფალოლოგიური საბუთები ერთმანეთს  
ადასტურებს. ამიტომ, დიდი დამაჯერებლობით შეგვიძ-  
ლია ვიგულისხმოთ აღწერილი ტერიტორიის მთიელთა  
ეთნიური მონათესავეობა, მით უმეტეს რომ, არქეოლო-  
გიურ და ფილოლოგიურ საბუთებს გარდა, ანთროპო-  
ლოგიური თვალსაზრისითაც აპრიორულად საგულის-  
ხმებელია დასავლეთაზიური მთიელთა რაია. მისთვის  
რაიმე სახელწოდების პოვნა ძნელია. დასავლეთი მხრი-  
სათვის, შიდა-მცირეაზიისა, ჩრდილო-სირიისა და ჩრდი-  
ლო-მესოპოტამიისათვის, კულტურული წრის და არა  
რასის აღსანიშნავად, სამართლიანად იხმარება ტერმინი  
„ხეთური“. ამავე წინიშვნელობით, აღმოსავლეთის, უდიდე-  
სი ნახევრისათვის, სომხეთისა და მთელი ერანისათვის  
ტიგროსის აღმოსავლეთის ნაპირიდან მოყოლებული  
ელამითურთ და ჩრდილო და აღმოსავლეთი კიდეები-  
თურთ, ეგების. შესაძლებელი იყოს ტერმინის „კასპუ-  
რის“ შემოღება, „ხეთური“ და „კასპური“. მაშინ ორი  
თანაბრად ჩამოყალიბებული ცნება იქნებოდა, პირველი  
იქნება უფრო დიდი ერთეულის დასავლური სახეობის  
აღმნიშვნელი, ხოლო მეორე—აღმოსავლურისა.

ცნობილია, რომ ხეთურ კულტურულ წრეს გრძელი  
და მნიშვნელოვანი ისტორია ჰქონდა და ზემოთ კიდე-

ვაც მოვიხსენიეთ ურარტელების 1-ლი ათასეულის და-დეგის წარწერები. მაშასადამე, საკითხავია თუ მისი მონათესავე კულტურა რამდენ ხანს განაგრძობდა არსებობას აღმოსავლეთ ტერიტორიაზე, სადაც მას, მიუხედავად მისი სიძველისა ასე უცნაურად ზედაპირზე ვპოულობთ. შაგრამ, ვიდრე ამ კითხვაზე პასუხის გაცემის შევეცდებოდეთ, უნდა მოვიხსენიოთ ორი უძველეს ხანასთან დაკავშირებული აღმოჩენა აღმოსავლეთში.

ამ უკანასკნელ წლებში პირველად იქმნა აღმოჩენილი პრეისტორიული, ჯერ-ჯერობით უფრო ნიშანდობლივ განუსაზღვრელი ხანის ადგილები ინდოეთში: ჰარაპა და მოჰენჯოდარო ინდუსის შუა და ქვემოწელის არეში. ესენი ქალაქების ნაშთებს წარმოადგენენ და ამ ქალაქებში სახლები კარგა განვითარებული დამწვარი აგურით უშენებიათ და არა თიხით, როგორც ძეველს ეგვიპტესა და ბაბილონში. ამ მეტად დაწინაურებულ სახლებში იპოვება მობატული კერამიკა, ერთი ინკრუსტირებული ქანდაკების უნიკუმი ბრინჯაოს და ლითონის სხვადასხვაგვარი სახმარი იარაღი და სამკაული და განსაკუთრებით დიდი რაოდენობა ლილებრი და სხვა ფორმის საბეჭდავებისა. ამ უკანასკნელებზე გამოხატულია როგორც ტიპური ემბლემები მაგ. ხარი, ისე წარწერებიც. დამწერლობას ხატოვანი შესახედაობა აქვს, მას უდარებენ ლურსმულის უძველეს ფორმებს და თვითეული ნიშნისათვის შესაძლებლად მიაჩნდათ სუმერულ ლურსმულში ანალოგიური ფორმის გამოცნობა. ასეთი შედარების სისწორის წინააღმდეგ თავისთავად არ ლაპარაკობს არც ის, რომ მოკლე, უდავოდ საკუთარი სახელების გამომხატველი ლეგენდების წაკითხვა მაინც კიდევ შეუძლებელი დარჩა. მაგრამ ასეთი შედარება თავიდანვე ეჭვებს იწვევდა. ორი ასეთი საბეჭდავი რამოდენი-

მე წლის წინათ სუზაში, აღმოჩნდა; მესამე მე შევიძინე, ინდურ აღმოჩენაზე ბევრით აღრე, 1910 წელს ბალდადში; მეოთხე იპოვეს ჩრდილობაბილონში კიში. ეს გარემოება და განსაკუთრებით ლილებრი საბეჭდავის ფორმა, მიგვითითებს არა სუმერისა არამედ ელამისაკენ. ნეპავენდის ზემოხსენებულ განათხრებს შორის ასობით მოიძებნება ლილებრი საბეჭდავი, რომლის სრულიად შესატყვისი ნიმუშები იგივე ფორმა, იგივე მასალა, იგივე მოხატულობანი — სუზაში და მცირე აზიაში აღმოჩნდა, რაც ზემოგანმარტებულის შემდეგ გასაკვირველი აღარ უნდა იყოს. როგორც ჩანს, ყოველ აღამიანს თავისი ბეჭედი ჰქონია. მიუხედავად იმისა რომ ამ უძველეს ლილებრ საბეჭდავებს წარწერა არა აქვს, მაინც მათი არსებობა უთუოდ დამწერლობას ჰერულისხმობს. ამგვარად, იბადება აზრი, რომ სუზაში შედარებით მცირე რაოდენობით ნაპოვნი ნიმუშები ე. წ. პროტოელამური დამწერლობისა, შესაძლებელია სუზაში იმპორტირებული ყოფილიყოს და ნამდვილად ზეგანის, „კასპური“ კულტურის წრის დამწერლობას წარმოადგენდეს, მით უმეტეს რომ, როგორც ვიცით, სუზაში საზოგადოდ სუმერული ლურსმულიდან მომდინარე დამწერლობას ხმარობდენ. მაშინ უკვე ჰარაპაში (ინდოეთს) ნაპოვნი ბეჭდების დამწერლობას ნამდვილ სუმერულს კი აღარ დავუკავშირებდით, არამედ საძიებელი გვექნებოდა თუ თავისი მომდინარეობით ანდა წარმოშობით. ეს დამწერლობა ორთაგან რომელზე იყო დამოკიდებული: პროტოელამურზე, რომელიც ეგების მთელს ზეგანზე იყო ხმარებაში, თუ ელამურ ლურსმულ დამწერლობაზე? შემდეგი პრობლემა, რომელიც უნდა გადაწყდეს ყველა დიდმნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანამდე, ესაა: ინდური შენობები ინდური წვრილი განათხრების თანადროულია.

ნამდვილად თუ არა? სრულიად დაუჯერებელია, რომ ეს შენობები, კარგად დაწინაურებული აგურით ნაგები, ქ. წ. 2000-ზე ბევრად უფრო აღრინდელი ხანით განისაზღვრებოდეს. როგორც დანამდვილებით ვიცით, აგურის განვითარება სუმერში მე-3 ათასეულის პირველ ნახევარში იწყება. ინდოეთში კი აგური უკვე სავსებით დასრულებული სახით გვევლინება. მაგრამ, უკეთუ ბეჭდებიც ასეთ ნაგვიანევ ხანას ეკუთვნის, მაშინ შეუძლებელია მათი შედარება ისეთ საგნებთან ელამსა და სუმერში, რომლებიც მთელი ერთი ათასი წლით უფრო ძველია და 2000-ის ახლო ხანებში იქ უკვე დიდი ხნის გადავარდნილი იყო. მაშასადამე, პრობლემა ინდური განათხრების დამოკიდებულებისა დასავლეთურებთან, როგორც ჩანს, შემდეგ კი-თხვაზე მიგვითითებს: უძველესი კულტურა რამდენ ხანს განაგრძობდა სიცოცხლეს ერანულ ზეგანზე?

მეორე შენიშვნა შეეხება პრეისტორიული კერამიკის აღმოჩენას ჰონანს, ჩინეთში. ეს კერამიკა ქვისხანიდან ბრინჯაოს ხანაში გარდამავალ პერიოდს ეკუთვნის. თვით განათხრები ეხლახან ჩამოიტანეს სტოკოლმში და მე ვიცნობ მხოლოდ ორს, თითქმის სრულიად ერთმანეთის მსგავს ქოთანს, რომელთაგან ერთი ბრიტანეთის მუზეუმში იმყოფება, ხოლო მეორე ლუვრშია მოთავსებული. ეს ორფერად მოხატული ოლიფიანი ნაწარმოები სხვანაირად გამოიყურება ვიდრე ყველა დასავლეთაზიური ნიმუშები, რაც ადგილმდებარეობის სიშორეს შეეფერება. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია რომ მათ შორის რაიმე დამოკიდებულება არსებობდეს, თუ მხედველობაში მივიღებთ თანადროულობას და თანაბარ ტექნიკას, რასაც ძირითადი მნიშვნელობა აქვს. ასეთი დაკავშირება თავისთავად შეუძლებელს არაფერს წარმოადგენს—ჩვენ

ხომ, თანაბარი საყურეების შიხედვით, დანამდვილებით ვიცა, რომ მაგ. ერანი დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ჩრდილოევროპასთან.

ერანული ზეგანის პრეისტორიული საგნების დასაბამი თარიღი, დაახლ. 3000 წ. ქ. წ., თავიდანვე უთუო იყო და მას კიდევაც არსებითი მნიშვნელობა მიეცა მცირეაზიული უძველესი განათხრების იმავე ხანით განსაზღვრისათვის. მაგრამ, ამ „კასპური“ კულტურის მერმინდელი ვითარება ჯერ-ხნობით მთლიანად ბურუსითაა მოცული. დასავლეთის კიდეზე, ჰორენ-შაიქანის და სარპულის კლდის ძეგლები ამოწმებენ, რომ სუმერული კულტურა მე-3 ათასეულის პირველ მესამედში დაბლობში ჩამავალ ველებზე შეიჭრა. კურანგუნის კლდის ქანდაკება, შუაგზაზე სუზა-პერსეპოლს შორის, ამასვე გვიჩვენებს ძველ-ელამური კულტურისათვის. ამ ქანდაკების „სუმერული“ გამოსახულების (წყვილი ღმერთების წინაშე მლოცველი მეფე) ამალაში ისეთი ფიგურები მოჩანს, რომლებსაც ახასიათებს წმინდა ხეთური კულული, ერთგვარი ნაწნავი. ასეთი იშვიათი თმის მორთულობის თანაბრობა მეტად აძლიერებს მცირეაზიული „ხეთების“ და სამხრეთ-სპარსელი „კასპების“ ეთნიური ნათესაობის აზრს. დღეს დღეობით მხოლოდ იმის დადასტურება შეგვიძლია, რომ ელამის სახელმწიფო მე-2 ათასეულში მოიცავდა აღმოსავლეთით ქურთისტანის მთებსაც მთლიანად ვიდრე ისპაანამდი, ხოლო სამხრეთით სპარსეთის უბის სანაპიროებს და პერსეპოლის ზეგანს. (საბუთი: ნაყშ-ი-რუსტამის კლდის რელიეფი).

მე-3 ათასეულის დიალს კულტურულ აღორძინებაში მცირე აზიამ ისეთივე მონაწილეობა მიიღო, როგორც ბაბილონმა და ეგვიპტემ. სარგონ აგადელი მცირე აზიამდე

ლაშქრობს; მე-3 ათასეულის მეორე ნახევარში კუსარიის ახლოს ყვავის კანების უცნაური ასურული სავაჭრო სახელმწიფო; მე-2 ათასეულის დადეგს ხეთები ანგრევინ ბაბილონის სახელმწიფოს და ამით ბოლოს უღებენ ძველბაბილონურ კულტურას. მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში არა ჩანს ისტორიული ურთიერთობა ბაბილონსა და ერანის ზეგანს შორის. იგი არ სცილდება სანაპირო, ველებს, რომლებიც ხან ბაბილონს ემორჩილება, ხან კი ბარის დასაპყრობად მოლაშქრე ბრბოებს გადმოუშვებს ხოლმე, როგორც მაგ. გუტებს და მერე კოსებს. ყველაფერი იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ ის უძველესი კულტურა, თუ კი იგი საზოგადოდ კიდევ არსებობდა, მხოლოდ განუვითარებლივ განაგრძობდა სიცოცხლეს. მე-2 ათასეულის განმავლობაში, კოსების ბატონობისას, ბაბილონური კულტურის დაბალი დონე, რომელიც თამამად შეგვიძლია დავუდაროთ ევროპის უილაჯო ყოფას ხალხთა გადასახლების მიმდევნო საუკუნეებში, გვიჩვენებს, რომ, როდესაც მე-2 ათასეულში კოსები თავისი მთები-დან ბარს ჩამოვიდენ, ისინი არ ყოფილან მაღლად განვი-თარებული ცივილიზაციის მატარებელნი.

ამგვარად, შესაძლებელია რომ უძველესი კულტურა ერანში მთელი ამ ხნის განმავლობაში უისტორიოდ არსებობდა და ეგების სწორედ იმიტომ არ გამოსულა საისტორიო ასპარეზზე, რომ არსად იყო ხალხთაღრევის განმანაყოფიერებელი ზემოქმედება. საქმე ისაა, რომ მე-2 ათასეულის შუაწლებამდე არა გვაქვს საბუთი ვიგულის-ხმოთ ხალხთა რაიმე დიდი მოძრაობა, როგორც ეს და-სავლეთ ქვეყნებში შობდა. პირველად მე-2 ათასეულის შუახანებში ვხვდებით დიდი გადასახლების კვალს. მცირე აზიაში, ბოლაზკეოის ლურსმულ საბუთებში ამოკითხულია,

ჭიკებით მოწმობათა შორის, ინდური ლმერთების სახე-  
ლები, შემდეგ, ინდურ პირთა სახელები, ინდური რიც-  
ხები და, ცხენების თუ ეტლების მარულის ჩანაწერში,  
ცხენების ინდური სახელები. ყველა ეს მიეკუთვნება მე-14  
საუკუ ეს ქ. წ ჩვენ ვიცით, რომ ეს არიელი ინდოელნი  
გადასახლებამდე ჯერ კიდევ განუყრელად ცხოვრობდენ  
მერმინდელ არიელ-ერანელებთან ერთად, ვიცით. რომ  
ერანელნი ერანვეჯილან, არალის ზღვის გარშემო მდება-  
რე მინდვრებისა და ნაყოფერი მიწებიდან გადასახლდენ  
ერანის ზეგანზე. მაშასადამე, ჩვენთვის ცნობილია ინდო-  
არიული გადასახლების როგორც გამოსავალი ისე მიზა-  
ნიც: არალის ზღვიდან ინდამდე და მხოლოდ მერე გან-  
გამდე. ამ გზას შუაზე უნდა გადაეჭრა ერანის ზეგანი და  
თუ მე-14 საუკუნეში ინდო-არიელნი ბოლაზკეოს, დიდი  
ხეთური სახელმწიფოს დედაქალაქის, საბუთებში ჩნდე-  
ბიან, ეს მხოლოდ ისე შეიძლება გავიგოთ, რომ გადასა-  
ხლებისას ამ ტომების ნაწილი დასავლეთისაკენ მიქცეუ-  
ლა და ხეთური სახელმწიფოების ფარგლებში შესულა.  
ეს საბუთები, მაშასადამე, არ შეიძლება დროით ძალიან  
დაშორებული იყოს პირველ არიულ გადასახლებას, რომე-  
ლმაც, ამისდა მიხედვით, მე-2 ათასეულის შუახანებში დას-  
ძრა ინდოელნი მათი პირვანდელი სალგომებიდან არალის  
ზღვის სანახებში და ინდის ზემოწელის სანახებში მიიყვა-  
ნა. არსებობს იმის ნიშნებიც, რომ კოსების დაახლ. 300  
წლით უფრო ადრინდელი შესევა ბაბილონში უკვე და-  
კავშირებული იყო აღმოსავლეთისკენ მოსახლე ხალხების  
ლელვასთან. პირველი გადასახლება, როგორც ჩანს, ეტა-  
პით მომხდარა, რადგან არიელები, ვიდრე საბოლოოდ  
ჩავიდოდენ ინდოეთის დაბლობში, ერთხანს ერანული  
პლატოს სამხრეთ-აღმოსავლეთში შეჩერებულან.

და ეგების ეს აღმოსავლეთი მხარე სავსებით აღარა-  
სოდეს დამშვიდებულა, ვიდრე მეორე არიულ გადასა-  
ხლებამდე, რომელმაც არიელი ხალხების სხვა ჯგუფი მო-  
იყვანა ზეგანზე. ამ უკანასკნელს მისი სახელიც: „ერანი“,  
ე. ი. არიელთა ქვეყანა, სწორედ ამ მეორე ჯგუფმა მია-  
ნიჭა. მეორე გადასახლების თარიღიც, პირველის მსგავ-  
სად, ლურსმული საბუთებითაა განსაზღვრული, სახელ-  
დობრ, ასურელი მეფეების ანალებით. სხვადასხვა ერანე-  
ლი ტომები იხსენიება აქ მე-9 საუკუნიდან მოყოლებული.  
ისინი უკვე ჩრდილო-დასავლეთ ერანში სახლობენ, გაგ-  
რამ ჯერ კიდევ ის სადგომები არ უჭირავთ, რომლებიც  
მათ ცოტა უფრო გვიან, დაახლ. მე-7 საუკუნის შუახანე-  
ბიდან მოყოლებით ხანგრძლივად დაიპყრეს. ისინი ჯერ  
ისევ ამოძრავებულნი არიან და, მაშასადამე, მათი მოვლინების.  
პირველი საბუთების თარიღი ისევე უნდა უახლოვდებო-  
დეს თვითონ მეორე გადასახლების თარიღს, როგორც  
ბოლაზკეოის ტექსტების თარიღი უახლოვდება პირვე-  
ლი გადასახლებისას. ამგვარად, იმიგრაცია ქ. წ. 1-ლი  
ათასეულის დასაწყისში უნდა მომხდარიყო. პირველი  
მკვიდრი დასახლება და სახელმწიფოს შექმნა უკიდურეს  
ჩრდილო-დასავლეთში იმ ტერიტორიაზე ხდება, რომე-  
ლიც ურარტელების სახელმწიფოს ფარგლებში შედიოდა,  
მაგრამ ასურელების მიერ საცილობლად იყო ქცეული. ამ  
გარემოებას ძირითადი მნიშვნელობა. მიეცა მთელი მერ-  
მინდელი კულტურული განვითარებისათვის. მერმინდელი  
მიდიელები და სპარსელები თავდაპირველად ერთად სხე-  
დან ჩრდილო-დასავლეთ ერანში. მხოლოდ მას უკან რაც  
მე-7 საუკუნის შუახანებში ასურელებმა სრულიად ვაანა-  
დგურეს ელამის სახელმწიფო (რომელმაც უეჭველია უკვე  
მანამდე დაუთმო სპარსელებს თავისი აღმოსავლეთი სა-

ნაპიროები), სპარსელებმა დაიჭირეს მათი მერმინდელი სამხრეთი საღვომები, ხოლო მიღელები შესატყვისად გაიშალნენ ჩრდილოეთში<sup>1</sup>.

ალმოსავლეთშიც მოძრაობა დასავლეთისაზე ადრე არ დასრულდებოდა. ჰეროდოტისა და კტეზიასის განცალკევებული ცნობებით და ფალეს ნინევიელის ბაბილონური ისტორიით დადასტურებულია, რომ მიღელებმა, ვიდრე ჯერ კიდევ ძლიერი ასურეთის წინააღმდეგ გადამწყვეტ შეტევას გაბედავდენ, შემოიერთეს არა მარტო ურარტული და ლიდური სახელმწიფოები, არამედ უპირველესად ყოვლისა ერთ პოლიტიკურ ერთეულად შეკრიბეს ყველა ერანელი ტომები და შექმნეს სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელიც, როგორც ეტყობა, იმდენადვე იყო დაშორებული აქემენელთა სამფლობელოს დასრულე-

<sup>1</sup> ამ ადგილის გადანაცვლებისათვის მნიშვნელოვანია ერთი ენობრივი კრიტერიუმი: სახელდობრ, რომ სპარსელების ტომობრივი სახელი „Pârsa“ წარმოებულია იმ ქვეყნის სახელისგან („Parsua“), რომელიც ჩრდილოეთით მდებარეობს ბაბილონიდან აგბატანაში მიმავალ გზაზე. ერანული ტომობრივი სახელები, როგორც „Mâda“, „Pârsa“, „vriddhi“-სებრი ნაწარმოებია, მოკლებმოვნიანი ქვეყნის სახელის ძირეული მოკლე ხმოვნის დაგრძელებით; ხოლო ინდური „क्ष“-ს შესატყვისი მიღურში იქნება „क्र“ და ძველსპარსულში — „स“.

მაშასადამე, შემდეგი სქემის მიხედვით:

სნსკრ.		მიდ.	სპარს.
„ცხენი“	aśva	aspaspa	asa
ქვეყნის ასურული	*	ტომობრივი	
სახელი parsua	parśva	სახელი	* pârspa pârsa
და ბერძნული	kaspioi	kâspa	kas-ak (ადგილი)
	khastvâ		საშ.-სპარს.

ბულ მთლიანობას, რამდენადაც არშაკუნიანთა სახელმწიფო თავისი მერყევი შინაგანი აგებულობით ჩამორჩებოდა სასანურს.

კიროსის დროს სპარსელები დაეპატრონენ მიღელთა მემკვიდრეობას. კტეზიასის ლეგენდარული გადმოცემი-დან, თითქოს ბაქტრელნი უბრძოლველად მიმხრობოდენ კიროსს, როდესაც მისგან მიღელთა უკანასკნელი მეფის ქალის შერთვა გაიგეს, ის მაინც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბაქტრია მიღელთა სამფლობელოში შედიოდა. მი-ღელთა სახელმწიფოს საზღვრები კიროსმა შორეულ აღ-მოსავლეთში გააფართოვა: მან დაიპყრო საკების ქვეყანა, ე. ი. აწინდელი ფერლანი იაქსარტის ანუ სირ-დარიას შუა და ზემოშელზე; შემდეგ მან შემოიერთა ორი ინ-დური პროვინცია: 1. ჩრდილო-დასავლეთი ინდოეთში გან-დარი, ე. ი. ქაბულის ველი, სვატის ტერიტორია და ჰე-შავარი და 2. თატავუში ანუ პენჯაბი .ბეჭისტუნის დიდი წარწერიდან ჩანს, რომ, როდესაც დარიოზი ტახტზე ავი-და, ყველა ზემოხსენებული ერანული და ერანის გარეშე მდებარე ქვეყნები მას უკვე მემკვიდრეობით ერგო. ამ მემკვიდრეობას დარიოზმა აღმოსავლეთში მხოლოდ ჰინ-დუშის სატრაპია ჟეპმატა, ე. ი. დღევანდელი სინდი ინ-დის ქვემო-შელზე. მაშასადამე, ალექსანდრე დიდს აღ-მოსავლეთში არსად არ გვდაუბიჯებია აქემენელთა სა-ხელმწიფოს ფარგლებისათვის.

დარიოზის სამეფო ტახტზე ასვლისას, ერანის ზეგანი და აწინდელი რუსული თურქისტანის ვაკეთა ერთი ნა-წილი დაყოფილი იყო ხუთ სატრაპიად, რომლებსაც მათი სახელები ხუთი მთავარი ტომის მიხედვით ეწოდა. ეს იყო შემდეგი სატრაპიები: 1. მიდია. ამაში შედიოდა: მთელი სომხეთი და ძველი ასურეთი ტიგროსის აღმოსავ-

ლეთით, არბელიანად, მაშასადამე, მთელი ჩრდილო-და-სავლეთი მხარე და, სხვათა შორის, მაღაც და ასაგარ-ტაც (დღეს „სიირტი“); ქალაქები: აგბატანა და რაგა.

2. პერსია. ეს არის: დღევანდელი ფარსი ისპაანით, ბაქტიართა ქვეყნით, ლარისტანით და ქირმანითურთ, მა-შასადამე, მთელი სამხრეთ-დასავლეთი მხარე; ტომები: პარსა, იაუტია და უფრო წვრილი ერთეულები. 3. პარ-თია. ეს იყო: აწინდელი ხორასანი ჰირკანიით (კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთს კუთხეში), ჰერატით, კუ-ჰისტანით და სისტანითურთ, მაშასადამე, მთელი შუა-ჩრდილოეთის მხარე და ზეგანის შუანაწილი; ტომებს ერქვა: პართავა, ვრკანა, პარაივა, ზრანკა (უფრო წვრილებს არ ვასახელებ). 4. ბაქტრია. ეს იყო: ავლანისტანი ჰინდუკუშის ჩრდილოეთით, ოქსუსის ქვეყნის რუსული ნა-წილები, ზარავშანის ველი სამარყანდითურთ, ამასთან მერვის ოზი, მაშასადამე, მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი მთარე; ტომები იყო: ბაქტრიშ, სუგდა, მარგუშ. 5. არა-ქოზია (არა ეთნიური, არამედ გეოგრაფიული სახელი). ამაში შედიოდა: მთელი სამხრეთი ავლანისტანი და ბელუ-ჯისტანი მაკრანითურთ, მაშასადამე, მთელი სამხრეთ-აღ-მოსავლეთი მხარე; ტომები: თამანელები (დღეს არსებობს ადგილი „ტხამან“), მაკა და სხვ. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი ის ტერიტორია, რომელიც უწინ უძველესი „კასპური“ კულტურის წრის ფარგლებში შედიოდა, ახლა ერანული ტომების მიერაა დაკავებული. საფიქრებელია, რომ იმ მრავალ მცირერიცხვან ტომებს შორის, რომ-ლებსაც ჰეროდოტე ასახელებს, შენახული იყო პირვან-დელი მოსახლეობის ნაშთიც. დანამდვილებით შეგვიძლია ამისი თქმა კასპიის ზღვის სამხრეთი სანაპიროების მო-სახლეობისათვის და ზოგიერთი ტომების შესახებ არა-

ქოზიაში და სპარსეთის უბის და ინდური ოკეანის სანა-პიროებზე. შესაძლებელია, რომ პართული ტომი ზრანკაც, რომელიც სისტანის ტბის სანახებში ბინადრობდა და წმინდა გეოგრაფიულ სახელწოდებას ატარებდა („ტბის მოსახლენი“), უძველესი მოსახლეობის ნაშთს წარმოადგენდა. ამას გარდა, შორეულ ჩრდილოეთში ორი სატრაპია არსებობდა, სახელდობრ ხვარაზმი არალის ტბასთან და შემდეგ საკების ქვეყანა, ე. ი. რუსული ფერლანი სირდარიასთან (სხვათა შორის, „ხვარაზმი“ წმინდა გეოგრაფიული სახელწოდებაა და შესატყვისება ავესტურ „ერანვეჯ“ - ს ე. ი. დაახლ. „არიელთა ვაკე“ - ს, რომელიც ეანიურ სახელწოდებას წარმოადგენს). ამ ორივე სატრაპიის მოსახლეობა, რომელიც ტანისამოსის მიხედვითაც ერთ მთლიანს წარმოადგენდა, ეკუთვნოდა არიელების განსაკუთრებულ ჯგუფს, საკებს, რომლებიც ინდო-არიელებზე უფრო უახლოვდებიან ერანელებს და რომლების მერმინდელი გაღასახლების შესახებ ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი. ისე, როგორც მათი მონათესავე ინდოელნი და ერანელნი, ესენიც თავის თავს არიელებს ეძახიან, როგორც ერანვეჯის სახელწოდებიდანაც ჩანს, რომლის „არიელები“ მერმინდელი „ალანები“ არიან.

სხვა ეთნიური ელემენტები მთელს ამ ტერიტორიაზე არ მოიპოვება და არც უშინ მოიპოვებოდა. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველ არიულ გადასახლებამდე მთელი ზეგანი „კასპურ“ ტომებს ეჭირა, ხოლო თურქისტანის გაშლილ ვაკეებზე ისხდენ ჯერ კიდევ განუყრელი არიელები. როდესაც მეორე არიული გადასახლება ერანელების ერანში დაბინავებით დასრულდა; სრულიად ნორმალური რამ მოხდა: მიწათმომქმედს, უკვე სამოქალაქო ცხოვრებას ჩვეულ მოსახლეობას ზევიდან

დაბწვა, როგორც მებატონე ფენა, შესაქონლე, მომთაბარე ხალხი და თავისი ენა შეათვისებინა. ამ უცხო და მკურობელთა ენა დარჩა, მაგრამ მისი უეცარი გადაგვარება, ჯერ კიდევ აქემენელთა დროს, კარგად გვიჩვენებს, თუ ეს მებატონე ფენა რა სწრაფად გათქვითა მკვიდრმა მოსახლეობამ. ახალი სპარსული ქ. შ. 500-ის ახლ. დასრულებული ჩანს. ყველა ინდოგერმანული ენებისაგან იგი განსხვავდება მაგ. იმით, რომ გრამატიკული სქესის ნაცვლად არჩევს სულიერ და უსულო საგნებს. ეს კი დამახასიათებელია „იაფეტური“ აზროვნებისათვის. იმავე გავლენის ქვეშ დგას ბგერათა ცვლა სპარსულში.

ჩრდილოეთის ვაკეებში დარჩენილი არიელი, (ე. ი. უმთავრესად საკური) ტომებისაგან გამოყოფის შემდეგ განვითარდა ერთგვარი პოლიტიკური და კულტურული კონტრასტი, რომელიც ბოლოს ეთნიურად გაიგეს. საკუთარი არიელობის (ერანის), საწინააღმდეგოდ გადმოსახლებულებმა შექმნეს ეთნიურად სრულიად დაუსაბუთებელი ცნება „არა-ერანი, ანერანი“, მერე „თურანი“, რომელსაც მხოლოდ ათასეულ-ნახევრის შემდეგ, ახალი ხალხთა მოძრაობის წყალობით მიენიჭა შინაარსი. მაგრამ, როგორც ევროპაში ხალხთა გადასახლების შემდეგ გერმანიის და იტალიის პოლიტიკური და კულტურული ბედი დაკავშირებული დარჩა, ისე აქაც დამოკიდებულება ხანგრძლივი იყო და ერანის უფრო მაღალი კულტურა ავტორიტეტულ გავლენას ახდენდა აზიის მთელს ჩრდილოდასავლეთ მხარეზე. მთელს ადგილობრივ გადმოცემაში კი ის აზრია გაბატონებული, რომ დასაბამიდან ვიდრე ალექსანდრე დიდის მომდევნო ხანამდე ჩრდილოეთის ველებზე ერანელები მუდმივ და მძიმე ომიანობას აწარმოებდენ თავისი თურანელი მემკვიდრეობითი მტრის წი-

წაალმდეგ. შაგრამ ასეთი აზრისათვის ისტორიული საბუთი არ არსებობს: ეპიური გადმოცემის გაბატონებული აზრი სხვა არა არის რა, გარდა გაცილებით უფრო მერმინდელი ამბების გადატანისა უძველეს ხანაში.

ისტორიული მოგონება ერანელებს თითქმის არ შეუნახავთ. უძველესი ხანის სურათი დაფარულია სავსებით კოსმოგონიად ქცეული მითოსით. როგორც სარწმუნოებრივ გადმოცემაში, რომელიც ავესტური ნაწერების სახითაა წარმოდგენილი, ისე ეპიურშიც, რომლის მთავარი წარმომადგენელი ფირდოუსის შაპნამეა, მხოლოდ ერთი ფაქტია გარკვევით შენახული: ერანვეჯიდან, ხვარაზმიდან ჩამომავლობა; ეს ის ქვეყანაა, რომელშიდაც საშინლად მკაცრი ზამთარი იცის და ორი დიდი წყალი ჩამოდის—დაიტიას „კარგი წყალი“ (veh rot) ანუ ოქსუსი და არანგი ანუ იაქსარტი. ამასთანავე, პირველი სამშობლო ოქროს ხანის ქვეყნადაა ქცეული და ამიტომ ხშირად გადააქვთ გაცილებით უფრო მერმინდელი ამბები იმ ძველს მითიურ სამშობლოში; ასე მაგ. იქაა გადატანილი ნაკვთები სარწმუნოების დამაარსებლის, ზარათუსტრას, ცხოვრებიდან. ამას გარდა, ერთი მითოსი მოგვითხრობს, რომ ფერიდუნის სამმა შვილმა, სალმ-მა, ერიჩ-მა და თუჩ-მა, ქვეყანა სამად გაიყვეს. შემდეგში ეს შითოსი სულ სხვა-გვარად განმარტეს და სამი სახელმწიფოს: რომის, ერი-ნის და შორეული აზიის (თურანის) ცილობას დაუკავშირებს. მაგრამ, აქაც გამოიცნობა უძველესი ხანის მოგონება: სალმი, ავესტ. საირიმა (\*საურუმა), უნდა გავიგოთ როგორც საურომატების. ეპონიმი; ერიჩი (აირიუ), როგორც ეპონიმი ერანელი არიელებისა; და თუჩი (თუირია), როგორც თურანელების ეპონიმი—ეს იყო მესამე ტომი,

რომლის სახელი ჯერ კიდევ სასანელთა ეპოქის დამლევს შენახული იყო: სამარყანდის ერთს ოლქში.

გადასახლების შესახები მოგონება, როგორც ინდო-არიელებმა შეინახეს, ერანელებს არ მოეპოვებათ. არავითარი გამოძახილი არ დარჩენილა იმ დიდი ეპოპეისა, როდესაც მათ მსოფლიო იმპერია შექმნეს. უკანასკნელ აქემენელთა და ალექსანდრე დიდის შესახებ ავესტურ და ეპიურ გადმოცემაში ნამდვილი ისტორიული დეტალებია შეტანილი, მაგრამ ეს საკუთარი მოგონება კი არაა, არა-მედ ლიტერატურული გზითაა გადმოღებული რომანები-დან (როგორც ალექსანდრიანი და არტაქსერქისის და ესთერის რომანი). დავიწყებულია სელევკიდების ეპოქაც. მხო-ლოდ არშაკუნიანთა დროიდან იწყება უცნაურად გადა-სხვაფერებული ისტორიული ფაქტების გამოყოფა და ისიც უმეტეს შემთხვევაში გადატანილია უძველეს ლეგენდარულ ხანაში. გაბმული ისტორიული გადმოცემა, უეჭველია თა-ვიდანვე ჩანაწერებზე დაყრდნობილი, პირველად სასანელ-თა დროიდან იწყება, ე. ი. მე-3 საუკუნეში ქ. შ.

არის მხოლოდ ერთი გამონაკლისი: გადმოცემულია რამდენიმე ფაქტი ერანელთა რელიგიის დიდი დამაარ-სებელის, ზარათუსტრას, ცხოვრებიდან. მეცნიერულ გა-მოკვლევათა უმეტესობის აზრით, ეს ფაქტები უთავბო-ლოდაა არეული, მაგრამ ეს სრულებითაც ასე არაა. უკე-თუ ისტორიული არსი კრიტიკულად გამოვყავით, მთელი გადმოცემა, ავესტური და ეპიური, შემდეგისათვის სავსე-ბით მხოლოდაზროვანია: ზარათუსტრა მიდიაში დაიბადა. იგი მიატოვებს სამშობლოს, საცა მისმა აზრებმა გამოძა-ხილი ვერ ჰქოვა, და ქადაგებს სისტანში, ე. ი. სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში, ჰამუნის ტბასთან. აქ მას გაუჩნ-დება ძლიერი მფარველი, ვიშტასპი, იქაური „მეფე“, ე. ი.

სატრაპი. ძველი ერანეს სამი უწმინდესი ცეცხლისგან  
 ვიშტასპი ერთ-ერთს გადმოიტანს უძველესი საყდრიდან,  
 რომელიც ხვარაზმში იმყოფებოდა, „კანარნაგის ქვეყანაში“,  
 ე. ი. დღევანდელ ნიშაპურში, რომელიც პართის უძვე-  
 ლესი დედაქალაქი იყო (ხორასანი). მეორე მხრით, და-  
 რიოზის წარწერებიდან ჩანს, რომ სისტანი (ზრანკა) პარ-  
 თავას დიდ სატრაპიაში შედიოდა, რომელსაც მართავ-  
 და მეფის ნაცვალი ვიშტასპი, დარიოზის მამა. ამისი რე-  
 ზიდენცია, მაშასადამე, დღევანდელს ნიშაპურში უნდა  
 ვიგულისხმოთ. ვიშტასპის ლეგენდა ასახელებს ატოსას,  
 მის მეულლეს, და იფანდიიარს, მის შვილს. ატოსა ერქვა  
 დარიოზის ერთ-ერთ ცოლს და აქემენელთა სხვა ქალე-  
 ბიც ატარებდენ ამ სახელს; იფანდიიარი, ძველი სპენტა-  
 დატი, მოგვმა გაუმატამ დაირქვა, როდესაც ტახტზე ავი-  
 და (რაც თავისთავად დიდი გამოცანების წინაშე გვაყე-  
 ნებს). ეს ის გაუმატაა, რომელიც დარიოზმა მოკლა. თუ  
 კი ვიშტასპის ლეგენდიდან არშაკუნიანთა ისტორიული  
 ფაქტების მიხედვით არქაზირებულ ბრძოლებს გამოვ-  
 ყოფთ, მისი გარემო, რამდენადაც მეფე მასში. ზარათუს-  
 ტრას მფარველადაა გამოყვანილი, აქემენიდურია. ამგვა-  
 რად, თუ გავაიღენტივეთ ვიშტასპი, ზარათუსტრას მფარ-  
 ველი, და ვიშტასპი, დარიოზის მამა, გამოდის რომ ერა-  
 ნელთა ისტორიულმა გადმოცემამ ქრისტეს უწინარესი  
 პირველი ათასეულის ისტორიიდან შეინახა ძალიან მცი-  
 რე რაოდენობა ისეთი ფაქტებისა; რომლებიც გადაბმუ-  
 ლი იყო წინასწარმეტყველის ცხოვრებასთან, ხოლო სრუ-  
 ლიად დაივიწყა აქემენიდური სახელმწიფოს ბრწყინვა-  
 ლება და სხვა ყოველივე.

აქ არაა საჭირო, რომ დაწვრილებით შევეხოთ ზო-  
 როასტრული რელიგიის რაობას, შექმნას და გავრცელე-

ბას. არც ერთი ამ კითხვათაგანი თანხმობრივ გადაწყვეტილი არაა, არამედ თითქმის ყოველი მკვლევარი უკიდურესად საწინააღმდეგო აზრს იზიარებს. ჩემი შეხედულება ზარათუსტრას დროის შესახებ სრულიად შეგნებულად ეწინააღმდეგება მკვლევართა უმრავლესობას. მაგ. კითხვაზე: იყოთუ არა დარიოზი ზოროასტრიანი? — ზოგი ემფაზიკურ „პო“-ს ამბობს, ზოგიც გადაჭრილ „არა“-ს. აქ საკმაოა მოკლედ აღვნიშნოთ, რომ ერანელებმა მსოფლიოს უძლვნეს როგორც პირველი მსოფლიო იმპერია, ისე პირველი უნივერსალური რელიგიაც, და რომ ეს მხოლოდ მას უკან შეიძლებოდა მომხდარიყო, როდესაც მათ მათი ახალი სადგომები დაიჭირეს ერანში. აქ ჩვენ არ ვაპირებთ ხალხის სულიერი კულტურის აღწერას — ისეთ დაწინაურებულ საფეხურზე არ შეიძლება. მისი დაყვანა რომელსამე მარტივ ფორმულაზე. ეს კულტურა აღზარდა იმ სულიერმა მსოფლიომ, რომელიც ერანელებმა უკვე თან მოიტანეს, იმან, რომელიც მათ მკვიდრ მოსახლეობასთან ჰქოვეს და აგრეთვე იმან, რომელიც ათასეული წლების განმავლობაში აშენებული იყო მათი მეზობლების და შემდეგ ქვეშევრდომების, წინა-აღმოსავლეთის ძველი კულტურული ხალხების მიერ.

მაგრამ ჩვენ უნდა დავახასიათოთ ერანული კულტურის ნივთიერი მხარე, ხელოვნება, რომელიც არქეოლოგიურ მსჯავრს ექვემდებარება. ის, რაც აქემენიდებმა თავის რეზიდენციებში შექმნეს — ბაბილონს, სუზას, პერსეპოლს, პასარგადას და აგბატანას — ისიც მათი კულტურის იმავე უნივერსალურ ხასიათს ამჟღავნებს. როგორც რელიგიაში აქაც გადაჭრილია საკუთარი, ადგილობრივი და, როგორც მესამე შემაღვენელი, მთელი ძველი აღმოსავლეთი. პერსეპოლი მოგვაგონებს ათასეული წლების სიმ-

ფონიის მქუხარე დასასრულს. და იმ ცეცხლში, რომელიც ალექსანდრემ ამ შედევრს წაუკიდა, დაიღუპა ახლო აღმოსავლეთის ძველი შეოფლიო მთლიანად. უფრო ნიშანდობლივი დაკვირვება მაღვე აღმოაჩენს განსხვავებას. ბაბილონ-სუზასა და წმინდა ერანულ აგბატანას, პასარგადას და პერსეპოლს შორის. ბაბილონსა და სუზაში აქემენიდური ხელოვნების ძველი აღმოსავლური ელემენტი გაცილებით უფრო ძლიერაა გამოხატული.

აქამდის ის შეხედულება იყო გავრცელებული, რომ აქემენიდური ხელოვნება ძალიან ხელოვნური ქმნილება იყო და მხოლოდ იმას ესწრაფვოდა, რომ მეფის დიდებულებისათვის ბრწყინვალე ფონი და ჩარჩო შეექმნა. ამიტომ ეგონათ, რომ მის გვერდით ცოცხლობდა არსებითად განსხვავებული ხალხური ხელოვნება, რომლის ნაწარმოები სადმე უნდა აღმოჩენილიყო. ასეთი დაპირისპირება არ გამართლდა. დამოკიდებულება არსებითად აქ იგივე იყო როგორც მაგ. ასურეთში, საცა მთელი ხელოვნება აგრეთვე მეფობისა და მხოლოდ შემდეგ სარწმუნოების სამსახურში ჩადგა, მაგრამ ის ხელოვნებაც, რომელიც ხალხს უმსახურებოდა, სადსებით იმავე განვითარების კანონს ემორჩილებოდა. სხვაობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ერანულ ხელოვნებაში სარწმუნოებრივი ელემენტი თითქმის სრულიად დაჩრდილულია, რაც თვით სარწმუნოების მეტად განყენებულს და თავდაპირველად უაჭველია ხატთამბრძოლ ხასიათს უნდა მიეწეროს. შემდეგ, იმპერიის თვალუწვდენი სივრცის გამო, ხელოვნებამ ყველგან ვერ შესძლო, განსაკუთრებით ძველს დასავლურ კულტურულ ქვეყნებში, ახალ კალაპოტში ჩაეყენებინა ძველი გადმონაცემი. მაგრამ არ შეიძლება მოველოდეთ საკუთრივ ერანულ ქვეყნებში ისეთ ხალხურ

ხელოვნებას, რომელიც მთლიანად აქემენიდური არ იქნებოდა.

ასეთ შეხედულებას ადასტურებს ხალხური ხელოვნების აქა-იქ აღმოჩენილი ნაწარმოებიც; განსაკუთრებით კი ეს წარმოდგენა მტკიცდება აქემენიდური შენობების და მთელი საქალაქო ნაგებობის აღმოჩენით, აქამდე ცნობილ სამეფო რეზიდენციებს გარდა. ასე მაგ., მე ვნახე ფარსის პროვინციაში აქემენიდური დროის შენობები, მაგ. შირაზის ვაკის ორ პუნქტში, ფირუზაბაღის ვაკეზე, პერსეპოლის ვაკის სამ პუნქტში, და ბოლოს ერთი აქემენიდური ქალაქი ნაყშ-ი-რუსტამის სამეფო სამარხების ზემოთ მთაზე და კიდევ ურთი სუზიდან პერსეპოლში მიმავალს ძველს გზაზე.

ამ აქემენიდურ ხელოვნებას ახასიათებს ქვის დამუშავების განმაცვითრებელი და შემდეგში მიუღწეველი ოსტატობა, როგორც უშველებელი კლდეების დამუშავება, ისე კედლების შენება უზარმაზარი ქვის ფილაქვნებით, დი მაგარი ქვის სკულპტურა. მეორე დამახასიათებელი თვისება ღიღი ხისსვეტებიანი მშენებლობაა, რომლითაც განისაზღვრება ყოველი სივრცედი ფორმა. ამავე მშენებლობას მიეკუთვნება ხის ძელები, სახურავები და ყოველნაირი საშინაო ჭურჭელი, რომელიც საუკეთესო სახურომოძღვრო და სადურგლო ცოდნითაა შესრულებული. ბოლოს—ყველა ტექნიკურ სიძნელეთა დამძლევი მეტალურგია, რომელიც აწარმოებს არა მარტო ჭურჭელს, იარაღს და სამკალლს, არამედ, ხის აწყობილობის ლითონით შემოსვით, არქიტექტურის დამხმარე ხელოვნების როლსაც ასრულებს. ხოლო ყველა ეს ისეთი დამახასიათებელი თვისებაა; რომელსაც სრულებით მოკლებულია ბაზილონური და ელამური ხელოვნება და რომლისაგან

ასურულ ხელოვნებაში — ორთოსტატული სკულპტურის გა-  
მოკლებით — მხოლოდ დაწყებითი ნიშნები მოიპოვება.  
ამით, მაშასადამე, თავისთავად დაყენებულია საკითხი ამ  
ოსტატობის სადაურობისათვის.

ქრონოლოგიურადაც და გეოგრაფიულადაც აქემენი-  
დური ხელოვნება მისდევს გვიანელამურსა და ახალბაბა-  
ლონურს, და, პირიქით, ორივე თვალსაზრისით დაშორე-  
ბულია ასურულს. ამგვარად; აქემენიდური ხელოვნების  
ოსტატობა არ შეგვიძლია უმეშვეოდ გამოვიყვანოთ ზე-  
მოხსენებული დაწყებითი ნიშნებიდან ასურულ ხელოვნე-  
ბაში. ერანელი ტომების, და ყველაზედ აღრე მიღელების  
პირველი მკვიდრი დასახლება, როგორც ზემოთ მოკლედ  
მოვიხსენიეთ, იმ მხარეში მოხდა, რომელიც სომხეთის  
ურარტული სახელმწიფოს ფარგლებში შედიოდა. ეს გა-  
რემოება გასაღებს იძლევა აქემენიდური ხელოვნების  
წარმოშობილობის გასაგებად. აქამდე თითქმის სრულე-  
ბით გამოუკვლეველი ურარტული სიძველენი თუმცა ნაკ-  
ლებადაა ცნობილი, მაგრამ ის, რასაც ვიკინობთ, რასაც  
მაგ. ვანის ნანგრევებზე ვხუდავთ, . სწორედ იმავე ნიშ-  
ნებით ხასიათდება და ისევე გვაკვირვებს, როგორც აქე-  
მენიდური ხელოვნება. ეს არის: კლდის დამუშავების ტექ-  
ნიკა, უდიდესი სტილის ფილაქვნებით ნაგებობა და მე-  
ტალურგიის, ყოველ მოლოდინს გადაცილებული, სიმდი-  
დრე და მრავალსახეობა. ქვის სკულპტურა დღემდე ნაკ-  
ლებადაა აღმოჩენილი, მაგრამ რომ ასეთი სკულპტურა იქ  
გავრცელებული იყო, ამას მოწმობს მისი მეტად შესანიშ-  
ნავი აღწერილობა, რომელიც ასურელებმა დაგვიტოვეს.  
რასაკვირველია, ხის სვეტებზე არავის უპოვია, მაგრამ,  
რომ ხისსვეტებიანი გვენებლობა მიღებული იყო, შეიძ-  
ლება დავასკვნათ ასურული სურათებიდან; გარდა ამისა,

გლეხის სახლები იქ დღემდისაც კი პირვანდელ ტიპში შენდება. ამგვარად, აქემენიდური ხუროთმოძღვრების ყველა დამახასიათებელ ნიშნებს აქ ვპოულობთ. შემდეგ, ხელოვნების ფორმების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ძველ წინა-აზიურ ნაწარმოებთაგან ურარტული სკულპტურა ყველაზედ უფრო ენათესავება აქემენიდურს. ურარტული ხუროთმოძღვრების ნაწარმოები შექმნილია ქ. წ. 1000-სა და 700-ს შორის. როდესაც ქსერქსემ ვანის ციხის კლდეზე თავისი მამის, დარიოზის, წარწერა დაასრულა, ეს ხელოვნება ალბათ ჯერ ისევ უზომო გაკვირვებას იწვევდა.

მაგრამ აქემენიდურ ხელოვნებაში უბრალო მიბაძვა კი არა გვაქვს, არამედ ხელოსნური ტრადიცია. ასეთი ტრადიციის გადასაცემად საჭირო იქნებოდა მესაშვლე და მართლაც ამისი როლი შეასრულა მიდიის ხელოვნებამ. აგბატანაში აქამდე მხოლოდ დარიოზის და ორტაქსერქს II-ის აღმშენებლობითი მოღვაწეობა ჩანს, მაგრამ უეჭველია, რომ უშველებელ ნანგრევთა ბორცვების გათხრა აღმოაჩენდა მიდელთა მეფეების ნამოღვაწარსაც. აგბატანის და მისი ოქროთ შემოსილი პორტიკების მშვენიერების აღწერა, რომელიც პოლიბიოსს მოეპოვება, ადასტურებს ჩვენს მოლოდინს; ამასვე გვეუბნება კლდეში ამოჭრილი მიღური სამეფო სამარხები, რომლებიც მეფის სასახლისავითაა გამართული და წარუხოცელ შთაბეჭდილებას სტოვებს, და იქვე შენახული სამი მეტად საღა სკულპტურა. ამგვარად, უფლება გვაქვს განვითარების ხაზი სპარსეთიდან, მიღიაზე, სომხეთში ავიტანოთ. მაგრამ ვანის ურარტელები არ იყვნენ ამ ხელოვნების მოთავეები და შემომქმედნი. ისინი იყვნენ მხოლოდ ნაგვიანევი წევრები უძველესი ხეთური კულტურული წრისა.

ამიტომ, ხაზის აყვანა სომხეთში, იმას ნიშნავს, რომ  
იგი ამ ხეთური ცენტრიდან გამოვიყვანოთ.

ამ დებულების სისწორე სრულებით ცხადია დიდი  
კლდეების დამუშავებისათვის, მცირე აზია ნამდვილი  
ტროგლოდიტების ქვეყანაა უძველესი დროიდან. დასაბა-  
მიდან ბაზანტიურ საშუალო საუკუნეებამდე იქ მთელი შე-  
ნობები ჩაუდგამთ პირდაპირ კლდეში. მცირე აზია, E. Brandenburg-ის მოხდენილი ტერმინი რომ ვიხმარო,  
„კლდის არქიტექტურის“ ქვეყანაა. უკვე მე-3 ათასეულის  
დადეგს დასავლეთ ერანის სანაპირო მთებში ჩნდება რამ-  
დენიმე დიდი კლდის სკულპტურა. ამ ქანდაკებათა ში-  
ნაარსი ბარილანაა მოტანილი, მაგრამ ბარში ასეთი რამ  
ტექნიკურად სრულიად დაუძლეველი უნდა ყოფილიყო.  
მაშ საიდან ჩნდება ეს სკულპტურა? ამის ასახსნელად  
უნდა მივმართოთ მცირე აზიას: ეს ნათესავობა წარმო-  
შობილია იმ უძველესი კულტურული თანაცხოვრების ნია-  
დაგზე. ამგვარად, როდესაც პერსეპოლის უშველებელ ტე-  
რასას მთლიანად ცოცხალ კლდეში სჭრიან, ისე როგორც  
ნაყშ-ი რუსტამის უზარმაზარ სამეფო სამარხებს – ეს ტრა-  
დიცია უძველესი დროიდან და მცირე აზიიდან მომდი-  
ნარეობს.

იგივე ითქმის ფილაქვნებით მშენებლობისათვისაც. სუ-  
მერისა და ელამის ალუვიური ქვეყნისათვის ასეთი ხუ-  
როთმოძღვრება უცხო უნდა ყოფილიყო. ასურული ხუ-  
როთმოძღვრება კი თავიდანვე აგურის მოტრფიალე ბა-  
ბილონის ისეთი ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რომ  
ვერ შესძლო მისი დაძლევა. გარდა ამისა, ასურელები,  
ვითარცა სემიტები, ხუროთმოძღვრებაში და საერთოდ  
სახვით ხელოვნებაში შემოქმედებითს უნარს მოკლებულნი  
არიან. ამიტომ, ტერასიანი შეხობების და ციხის კედლე-

ბის შემოსვა ზომიერი ფრლაქვნებით ასურეთში ძალიან გვიან შემოდის და ისიც ცალკეულ მოვლენად რჩება — ეს სომხეთის გავლენა იყო. პირიქით, სომხეთსა, მც. აზიასა და ჩრდილო სირიაში ფრლაქვანი დიდ როლს თამაშობს ხუროთმოძღვრებაში. აქაა ჩვენთვის საინტერესო დარგების პირვანდელი სამშობლო. მცირე აზია და სირია ქვის ქვეყნად დარჩა ელინისტურ და ისლამურ ხანაშიც. სირიის ხუროთმოძღვრებაზე შეიძლება ეგვიპტესაც ჰქონდა გარკვეული გავლენა.

მასალის გაუტანლობის გამო, ხისსვეტებიანი მშენებლობის უმეშვეოდ შემაწმება არ შეგვიძლია. მაგრამ გვაქვს სურათები და გამტანი მასალისაგან გაკეთებული მიბაძვები. ზემოხსენებულ მიღურ კლდის სამარხებს პორტიკები აქვს, რომლებიც ხის ნიმუშების მიბაძვითაა გაკეთებული. ყველა აქემენიდურ სასახლეს ხის სვეტები ჰქონდა, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, როდესაც სვეტებს, დიდი ზომების გამო, ქვისას აკეთებდენ ხოლმე. სამუფო სამარხებს აშენებდნენ სასახლის ხისსვეტებიანი პორტიკების მიბაძვით. აქამდე ცნობილ ძეგლებს გარდა, მე ვიპოვე, შუაგზაზე სუზა-პერსეპოლს შორის, ახალი სამეფო სამარხი, რომელიც დაახლ. ქ. წ. 600-ით უნდა დათარიღდეს, რადგან თავისი ტიპით სწორედ მიღურსა და აქემენიდურს შუა დგას, ე. ი. ამ ორ ჯგუფს შორის უნდა დაისვას. ამასთანავე, თუ გეოგრაფიულ შდებარეობას გავითვალისწინებთ, იგი შეიძლება იყოს მხოლოდ კიროსების, ანზანის მეფეების, ერთერთი წინაპარის სამარხი. ხოლო ეს სამარხი ერთ ოთხსვეტიან მწკრივს შეიცავს და ამ სვეტების თავები პროტოიონურია. თუ მხედველობაში მივიღეთ ძეგლის თარიღი და ადგილმდებარეობა, ბერძნული ნიმუშების მიბაძვას ვერ დავუშვებთ. პირიქით, ხის სვეტისთავის საჭურრივ იონურად, დასავლეთ მცირე-აზიურად მიჩნეული

სახეც მიღურ-სპარსულ ფორმათა შემადგენლობას ეკუთვნის. ერთი იყო დასავლეთი, ხოლო მეორე აღმოსავლეთი შტო მთლიან ფორმათა წრისა, რომელიც გეონის ზღვის სანაპიროებიდან მოყოლებული მთიან ქვეყნებზე ჭრცელდებოდა ვიდრე სპარსეთის უბემდე. საშუალო ფორმებს, იონიასა და ერანს შორის, პაფლალონიის და სხვა მც. აზიური მხარეების კლდის სამარხებში ვპოულობთ, რომლებიც უძველეს ხანას ეკუთვნის. ხოლო გლეხების ხუროთმოძღვრება, რომელიც ყოველთვის ძველთა-ძველ ფორმებს ინახავს, ყველგან სომხეთში, კავკასიაში, ელ-პურსის მთასა, მთელს ქურთისტანსა და ცალკეულად აგრეთვე აღმოსავლეთ სპარსეთში, დღესაც უპირატესობას აძლევს იონური სვეტისთავიდან გამოსულ ხის ფორმებს.

ამგვარად, კლდის დამუშავება, ფილაქვნიანი და ხის-სვეტებიანი შშენებლობა ის ნიშნებია, რომლებიც თანაბრად ახასიათებს ერანულს და უძველესი ხეთურ-კასპური კულტურული წრის ხუროთმოძღვრებას და ორსავე თანაბრად განასხვავებს დაბლობი მხარეების ხუროთმოძღვრებისაგან. რაც შეეხება მეტალურგიას, აქ ჯერჯერობით არ შეგვიძლია ასეთი ზოგადი დასკვნების გამოტანა. ურყევია მხოლოდ ის, რომ ერთს მთლიანს წარმოადგენს: აქემენიდური, იშვიათი ნიმუშები მიღურის, და შეუდარებლად დიდი რაოდენობა ურარტული ნაწარმოებისა. უდავოა აგრეთვე ის, რომ ხეთური მეტალურგია მეტად განვითარებული იყო, რაც გასაკვირველი არაა, რადგან ძველი წინააზიის მდიდარი შაღნები ყველა სწორედ ამ მხარეში იმყოფებოდა. თვით ხეთურ ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლითონის ნაწარმოები ცოტაა. სამაგიეროდ კარგად ვიცნობთ აქაური ნაწარმოების ექსპორტის გავრ-

ცელებულობას. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რაოდენი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ხეთებისათვის ხელოვნების ამ დარგს. ხეთური ექსპორტი დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ეტრუსკულ სამარხებში, ბევრია ნაპოვნი საბერძნეთში, კრეტაზე და, განსაკუთრებით, ასურულ სასახლეებში, სადაც ხეთური ნივთები ტროფეებად მიუტანიათ. მეორე მხრით, ხეთური ნაწარმოები კავკასიონის ჩრდილოეთითაც გვხვდება და თურქისტანის ვაკეებზე. ოღონდ, მეტალურგიის დარგი არ წარმოადგენდა მხოლოდ ხეთურკასპური კულტურული წრის საკუთრებას. ელამსა, და სუმერშიც მეტალურგია მეტად მაღალ დონეზე იდგა უკვე უძველესი დროიდან. ასურეთი კი, პირიქით, ამ დარგში ყოველთვის სხვას მისდევდა და მას არასოდეს არ უთა-მაშია მოწინავის როლი.

ის, რაც ერანული ხელოვნების განხილული დარგებისათვის ითქვა, ითქმის ქვის სკულპტურის შესახებაც. აქაც, წინასაფეხური მიღიაში უნდა ვიგულისხმოთ (ნი-მუშად მხოლოდ სამი მეტად სადა კლდის სკულპტურის ნაწარმოები მოგვეპოვება); შემდეგ, ძველი სომხეთის გზით ეს ხელოვნება უნდა დავუკავშიროთ ხეთურ წრეს. სომხური ქვის და ბრინჯაოს ნაწარმოები, თუმცა იშვიათია, მაინც სრულიად საკმაოა იმისათვის, რომ ჩვენგან აღიარებული ჩამომავლობის სისწორე დაამტკიცოს. ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ შეიძლება მიგვითითონ ართოსტატულ სკულპტურაზე, რომელიც ულეველია ნი-ნევიაში, ნიმრუდს და ხორსაბადს და რომლითაც გაივსო ბრიტანეთის მუზეუმი, ლუვრი და სხვა ევროპული მუზეუმები. ხოლო იქ, საცა ლაპარაკია წინაზის დიდ კულტურულ დამოკიდებულებათა გაშუქებაზე, უნდა გაეცეს პასუხი ამ საწინააღმდეგო საბუთსაც. საქმე ისაა, რომ

არქეოლოგიურმა კვლევამ თავიდან უნდა მოიცილოს ერთი წინამსჯავრი, რომელიც წარმოიშვა ძველი კულტურების აღმოჩენის შემთხვევითი გარემოების ნიადაგზე. აღმოჩენის შემთხვევითობით აიხსნება მაგ. ის, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ „ასირიოლოგიაზე“ და არა „ბაბილონიოლოგიაზე“ ან „აკადოლოგიაზე“, რაც უფრო სწორი იქნებოდა. ძველი ძეგლების აღდგენა Layard-ის და Botta-ს ეპოქალური აღმოჩენებით დაიწყო ასურეთში 1840 წელს. ჯერ კიდევ ამ 25 წლის წინათ რიგიანად გამოკვლეული არ იყო არც-ერთი ასურული სამოსახლო, გარდა მე 9-7 საუკუნეების დედაქალაქებისა, და არც-ერთი ბაბილონური ადგილი. აი ამ ორ გარემოებას მიეწერება ის, რომ ასურული ორთოსტატური სკულპტურა დღემდე განსაზღვრავს მთელს ჩვენს წარმოდგენას ეფურატის და ტიგროსის ქვეყნების ზელოვნებაზე. სხვანაირად არ შეგვეძლო მოვქცეულიყავით და ეს წარმოდგენა ქრონოლოგიურად ძველ ასურეთზეც უნდა გადაგვეტანა, ხოლო გეოგრაფიულად უნდა გაგვევროც ბაბილონზეც.

ასეთი განზოგადოება, როგორც გათხრების და პუბლიკაციის წინსვლამ გვიჩვენა, შეტად ყალბია. სამუდამოდ აბათილებს მას ასურისა და ბაბილონის გათხრის შედეგი. სუმერული და ძველბაბილონური მე-3 ათასეულის ქვის სკულპტურა ყოველთვის ზომიერად გადიდებული წვრილი პლასტიკის ხასიათს ატარებდა. არის კიდევ ასურეთის უძველესი მეფეების ქანდაკებანი და ეფურატის შუაწელზე მდებარე მაერის მეფეების დიდი ქვის სკულპტურები, რომლებიც ბაბილონში გაიტაცეს. მაგრამ ეს ისეთი განცალკევებული მოვლენაა, რომ ჯერ კიდევ გამოსაკვლევია — ეს ხელოვნება ჩრდილო-დასავლეთიდან ხომ არ მომდინარეობს? სულ არ მოიპოვება ღმერ-

თების რგვალი სკულპტურით შესრულებული დიდი ქვის  
ქანდაკება, რომელსაც ალბათ უფრო პატიოსანი მასალი-  
დან და უფრო პატარა ზომისას აკეთებდენ. ეს იცვლება  
ახალასურულ ხანაში, ე. ი. იმ დროს, რომელსაც მიეკუ-  
თვნება ორთოსტატული სკულპტურაც.

ქვის პლასტიკას ბაბილონში, გარდა ამ თავისუფალი  
პლასტიკისა, არქიტექტონური გამოყენება სულ არ ჰქო-  
ნია. არც ძველსა და საშუალო ხანის ასურეთს ჰქონია  
ასეთი არქიტექტონული სკულპტურის მსგავსი რამ. ასუ-  
რის გათხრაშ აღმოაჩინა ყველა ეპოქის ტაძრები, სასა-  
ხლეები, სახლები, კარები; იმის თქმაც კი არ შეიძლება,  
რომ სკულპტურა ვერ იპოვეს, რომ ex silentio უნდა  
დავასაბუთოთ სკულპტურის უქონლობა — არა, ყოველი  
შენობა შენახულია თავისი კედლის ლიბით, ზედ  
სკულპტურა არ არის და ეს გვიმტკიცებს, რომ იგი  
არც არსებობდა. ამგვარად, ცხადი ხდება, რომ გვიან-  
ასურული სკულპტურის ნაწარმოები მზა-მზარეული იმ-  
პორტი ყოფილა, უცხოეთიდან მოტანილი გარკვეულ  
დროს: სახელდობრ, მაშინ, როდესაც დაიწყო ჩრდილო-  
მესოპოტამური და ჩრდილო-სირიული, ე. ი. ხეთური  
თუ მიტანური მოსახლეობის ნაწილების ასურეთში იძულე-  
ბითი გადმოსახლება, მე-9 საუკუნეში ქ. წ.

დღემდე მხოლოდ ერთად-ერთი გამონაკლისი მოიპო-  
ვება: ბაზალტის კოლოსების წყვილი, რომელიც ტიგლატ-  
პილესარ I-მა ქ. წ. 1100 წელს ერთი შენობის კარზე  
მოათავსა ასურში. ამ კოლოსების ნაშთები სამწუხაროდ  
დამსხვრეულია. ამავე მეფეს ეკუთვნის შესანიშნავი ძეგ-  
ლი ასურის „სტელათა მწკრივიდან“, რომელიც წარ-  
მადგენს თავზე დაყენებულს და შემდეგში (აწ დაკარ-  
გული) წარწერით შემკულს ბაზალტის სვეტს. იგი ოდეს-

ლაც მდიდრულად შოკირწყლული იყო ლითონით. ეს სვეტი, მაგიური მიზნებისათვის, განზრახ ყირაზე დაღმული ტროფეი არის. ამის დასამტკიცებლად დღეს უფრო მეტი საბუთი მომეპოვება, ვიდრე 1920-ში მქონდა. სვეტი უეჭველად ხეთურია და ეგებ კუმანიდან ან კომა-გენიდან მომდინარეობდეს. ტიგლატპილესარ I-მა, როგორც მისი წარწერები მოვითხრობს, 25 ღმერთის ქან-დაკება წაილო იქიდან. კარის კოლოსების წყვილიც ხე-თური ტროფეი უნდა იყოს. როგორც მასალა, ისე სტი-ლიც და განსაკუთრებით ფაფრის თმის დამუშავება გვა-გონებს კარხემიშის მსგავს ნაწარმოებს.

ამგვარად, ასურნასირპალის ორთოსტატებზე უფრო ძველი რამ არ მოიძებნება, ხოლო ეს ახალასურული სკულპტურა იწყება ex abrupto მე-9 საუკუნეში. მისი და ისლამური ხელოვნების გენეზისდ ბევრ საინტერესო პა-რალელს იძლევა: ორსავე შემთხვევაში ხელოვნების უე-ცარი აწევა უფრო მაღალ საფეხურზე ერთმა და იმავე გარემოებამ გამოიწვია. ეს იყო: უცხო ხელოვანთა გად-მოსახლება, მათი დაყენება ახალი ამოცანების წინაშე, მათი შემოქმედება სრულიად ახალი საშუალებებით და ახალი დიდი მიზნისათვის. ასურული ხელოვნების ისტო-რია ასურნასირპალიდან ასურბანიპალამდე სრულებით ცხადია: გამოხატულებასა და ნივთიერ სუბსტრატს, ფი-ლაქვანს შორის დასაწყისში ჯერ ისევ დაცული იყო კავ-შირი, თუმცა მაშინაც ამ წესს ზოგჯერ არღვევდენ ხოლმე; მერმე ეს დამოკიდებულება ირღვევა საბოლოოდ და მრავალზონიანი განაწილება შემოდის; აქედან გადა-დიან უნაზესი რელიეფით გამოყვანილს დიდ სურათებზე, რომლებიც გაშლილია თავისუფლად კედლის ლიბრის ზემოდან. ამგვარად, ასურულ ნიადაგზე, განვითარებამ

თავიდანვე მხატვრული მიმართულება მიიღო, უცხველია  
 იმიტომ, რომ ასურელები მანამდე უკვე ხატავდენ გაგო-  
 ზილ კედლებსა და მოჭიქულ აგურებზე. ყველა იმ აზრს  
 იზიარებს, რომ ასურულ ხელოვნებაზე იყო დამოკიდებული  
 ხეთური წრის თანადროული და მომდევნო ხანის სკულპტუ-  
 რა. რადგან შეცდომით ფიქრობდენ, რომ უფრო ძველი  
 ასურული სკულპტურაც არსებობდა, მისგან დამოკიდებული  
 ეგონათ ძველი ხეთური ორთოსტატული წარმოებაც. ეს  
 შეხედულება არაა სწორი. მის გავრცელებას ხელი შეუ-  
 წყო იმ გარემოებამ, რომ პრობლემები თითქმის არასო-  
 დეს შეგნებულად არ იყო ფორმულირებული და გადა-  
 წვეტილი. ეს რომ ასე ყოფილიყო, მესოპოტამური, ჩრდი-  
 ლოსირიული და მცირე-აზიური ხელოვნება. გადაიღებდა  
 ასურული სკულპტურის მხატვრულ აზრებს. ნამდვილად  
 კი შინაუკრის სწორი: დასავლეთი ქვეყნების ხელოვნება ბო-  
 ლომდე მტკიცედ იცავს ორთოსტატების პრინციპს: ფი-  
 ლაქვანი ყოველთვის და იმთავითვე სწყვეტს მაკშტაბს,  
 კომპოზიციას და გამოხატულების საზღვარს. რელიეფი  
 ქანდაკებრივია და არა მხატვრული; კომპოზიციაც. მსგავ-  
 სება, მაშასადამე, მხოლოდ შინაარსებრივია: მსგავსი ტა-  
 ნისამოსი, იარალი, თემა, ერთი სიტყვით ისეთი რამ,  
 რაც მხატვრულის გარეშე დგას. ამგვარად, ასურული და  
 ხეთური ხელოვნების შედარებითი კვლევისათვის თავი-  
 დანვე გარკვეული უნდა იყოს, რომ ასურულ წარმოებას  
 ხეთური ჩამომავლობა აქვს და რომ გვიანხეთური წარ-  
 მოებაც კი არ იყო დამოკიდებული ასურულისაგან.

ასურული სკულპტურის თანადანოული დასავლური  
 ძეგლების დიდი ნაწილი იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელსაც  
 არამეულს უწოდებენ. სახელწოდება იქიდანაა წარ-  
 მდგარი, რომ იმ დროს ამ ძველხეთურ მხარეში

არამეული მოდგმის ხალხები ბატონობდენ. მაგრავ ასეთ სახელწოდებას შეუძლია გამოიწვიოს ყალბი წარმოდგენა, ვითომც ეს ხელოვნება არამეული ყოფილიყოს. ნამდვილად კი იგი ხეთურია. ამ ნაწარმოების დათარიღება შეგვიძლია ნიშანდობლივ, წარწერების საშუალებით. დათარიღება. თუ შეიძლება აბსოლუტური, თუ არა და ნიშანდობლივ რელატიური მაინც, არის წინაპარობა ყოველგვარი შემეცნებისათვის. ხეთური ძეგლების დათარიღება კი ბევრჯერ სრულებით უკმარია. ხეთური სკულპტურის წინაშე პირდაპირ უსაშველო მდგომარეობაში ვიმყოფებით. დათარიღებული წარწერები არა გვაქვს, მაგრამ მთავარი მიზეზი ეს არაა. საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ გაბატონებულია მცდარი შეხედულება, თითქოს ხეთური ხელოვნება ასურულისაგან იყოს დაბოკიდებული. ბერძნული და ეგვიპტური ხელოვნების გავლენასაც ეძებენ. ეს ჯერ კიდევ Puchstein-ის „ფსევდოხეთური ხელოვნების“ შედეგია. „ხეთური კულტურა მდებარეობს ორი უალრესი, მესოპოტამური და ბერძნული, კულტურის შუა. ამიტომ, ის ვერ გამოაცხადებს პრეტენზიას, რომ იგი იმავ ინტენსივობით დავამუშავოთ“. ეს, 1927 წლის ოქტომბერში დაწერილი წინადადება ამას ნათლად გვიჩვენებს; ამასთანავე, მისი ავტორი არ ასხვავებს ბაბილონსა და ასურეთს. სწორედ ესენი იგულისხმება „მესოპოტამიის“ ქვეშ, იმ დროს როდესაც მესოპოტამია ყოველთვის ხეთურ წრეს ეკუთვნოდა. ჯერ-ჯერობით არავინ არ სცნობს ხეთური. წრის სახვითი ხელოვნების თავისთავადობას და შემოქმედებითს ძალას.

ხეთური ძეგლების აბსოლუტურად დათარიღებისა. თვის მხოლოდ შემდეგი საშუალება მოგვეპოვება: არამეული, ხანა, თავისი არამეული წარწერებით, იწყება მე-9 საუ-

კუნეში ქ. წ., ე. ი. მაშინ, როდესაც იწყება ასურული სკულპტურაც. ეგებ ოდნავ უფრო აღრინდელი იყოს კაპარის ასურულ-ლურსმული წარწერები ტელ-ჰალაფში, რომლებიც მერმე წარწერეს უძველეს სკულპტურებს. ძველი ნაწარმოების ასეთი მეორადი გამოყენება ზენჯირლიშიც და კარქემიშშიც გვხვდება, მართალია ნაკლებად. კარქემიშის უგვიანესი სკულპტურა, რომელსაც ხეთური ხატოვანი წარწერები აქვს, ეკუთვნის აგრეთვე 1 ათასეულს. ბოლაზკეო-იაზილიკიას ჯგუფი, რომელსაც ხეთური ხატოვანი წარწერები აქვს, ეკუთვნის მე-14 საუკუნეს ქ. წ. და ამ ჯგუფს მიეკუთვნება გარკვეული რაოდენობა ცალკეული ნაწარმოებისა. საზოგადოდ, სკულპტურები ორად შეიძლება დავანაწილოთ: ერთ ჯგუფს ხეთური ხატოვანი წარწერა აქვს, მეორე უწარწეროა. გეოგრაფიულად შეიძლება გავარჩიოთ მცირე-აზიური. და ჩრდილო-სირიულ-მესოპოტამიური ნაწარმოები. მაგრამ პირველი განაწილება არ ეთანხმება მეორეს. წარწერიანი ნაწარების ტიპური წარმომადგენლებია: იაზილიკაია ბოლაზკეოის ახლოს და კარქემიში ევფრატზე. უწარწერო ნაწარმოების ტიპური წარმომადგენლებია: ოიუკი მცირე აზიაში, ზენჯირლი ჩრდილო-სირიაში და ტელ-ჰალაფი შესოპოტამიაში. მაგრამ, ეს განაწილება უთუოდ სტილისტურ განსხვავებულობასაც მოასწავებს და ეჭვი არ არის, რომ განუყოფელი უწარწერო ჯგუფი, ოიუკი—ზენჯირლი—ტელ-ჰალაფი, უფრო ძველია, წარწერიანი კი უფრო ახლი. არქეოლოგს ისე არაფერი უკარნახებს თავდაჭრილობას, როგორც წარწერების წაუკითხველობა. მაგრამ აქ იმდენი მაინც ცხადია, რომ შემონახული წარწერიანი ძეგლებისაგან იაზილიკაიას კლდის სკულპტურა ყველაზედ ძველია და მე-14 საუკუნით განისაზღვრება. ხოლო სრუ-

ლებით დაუჯერებელია, რომ ბოლაზკეოის ახლოს ხატოვანი დამწერლობა გამოეგონათ სწორედ იმ დროს, როდესაც ხეთების სამეფოში საზოგადოდ ლურსმული დამწერლობა იყო მიღებული, როგორც გვიჩვენებს ბოლაზკეოის და ტელ-ელ-ამარნას საბუთები. გარდა ამისა, ვიცით, რომ მთელი ერთი ათასეულით უფრო ადრე ლურსმული დამწერლობა უკვე ფეხმოკიდებული იყო მცირე აზიაში (კანეში კესარიის ახლოს). ამგვარად, უნდა მოველოდეთ, რომ აღმოვაჩენთ უფრო ძველს ხატოვანწარწერიან სკულპტურას და ალბათ კიდევაც მოგვეპოვება. ასეთი საფლავის სტელების მთელი ერთი რიგის სახით. წარწერების უქონლობა იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ იმ დროს, რომელსაც უწარწერო ძეგლები ეკუთვნის, ან სულ არ იცოდენ წერა, ან ჯერ კიდევ ცოტას სწერდენ, რასაკვირველია, ეს უნდა გვესმოდეს ა. ვ. cum grano salis: საქაე ისაა, რომ უწარწეროა ცალკეული ძეგლები კი არა მხოლოდ, არამედ გარკვეული სტილის სახეობა მთლიანად და ყოველთვის უწარწეროდ გვხვდება. ამ საკითხების გასარკვევად კარგი იქნებოდა, რომ ბოლომდე მიყვანილი ყოფილიყო კარქემიშის გათხრა, რომელიც შეჩერებულია პოლიტიკური მიზეზების გამოისობით. კარქემიშში გვაქვს ის, რაც სხვაგან არ მოიპოვება: აქ არის როგორც უძველესი ხანის ნაწარმოები, ისე ბოლაზკეოის დროინდელი, შემდეგ, უფრო მერმინდელი და ბოლოს უახლოესი ხანის ნაწარმოებიც. მაგრამ, სამწუხაროდ, შეუძლებელი შეიქმნა ამ, სხვაგან უცნობი, კონტინუიტეტის საკმაოდ გაშუქება, მისი საფეხურების ერთმანეთზე გადაბმა და აბსოლუტური თარიღების შესაფერისად დასაბუთება. ტელ-ჰალაფში დიდი ხარვეზი გვაქვს: აქ ჩანს ორი პერიოდის უძველესი ქვის სკულპტურა; ერთმანეთზე

ეს პერიოდები ქრონოლოგიურად მაინც და მაინც დაშორებული არაა, მაგრამ შემდეგ, არ ვიცით რამდენი ხნის შემდეგ, ეს სკულპტურები ხელმეორედ გამოუყენებიათ. საბარაში, მაგ., ქ. შ. მე-9 საუკუნის ისლამური ნაგებობის ქვაფენილის ქვეშ უმეშვეოდ მოდის ქ. წ. 3000 წლის სასაფლაოები. ეს მაგალითი კარგად გვიჩვენებს, თუ რამოდენა შეიძლება იყოს ტელ-ჰალაფის ხარვეზი. ზენჯირლიშიც ორი უძველესი ჯგუფი გვაქვს და ამათ გვერდით—არამეული ხანის ნაწარმოები (გარდა ამისა, ეგების რამდენიმე ბოლაზკეოისეული ცალიც მოიპოვებოდეს). აქ, კვლევის დაწყებისთანავე, საშუალება გვქონდა შეგვეფასებინა ამ საკანთა შორისი შესაძლებელი ხარვეზის ოდენობა. Koldewey-მ გამოსთქვა ერთი სავსებით სწორი და ძირითადი ხასიათის დაკვირვება. Puchstein-ის ავტორი ტეტის ზეგავლენით, რომელიც მაშინ სწერდა თავის, დიდი ხანია შეცდომად იღიარებულს, „ფსევდოხეთურ ხელოვნებას“, Koldewey-მ თავისი აზრი მაშინვე შეასუსტა და უკან წაიღო. Koldewey იმდენად ფრთხილი მეცნიერი იყო, რომ თავის დაკვირვებას არასოდეს არ გამოაქვეყნებდა, დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო მის სისწორეში. ეს არქეოლოგიური დაკვირვება შემდეგია: ზენჯირლის უახლოეს, რომაულ-ბიზანტიურ ფენებსა და არამეულხეთურ ფენას შორის, ე. ი. სწორედ ერთი ათასეულის განმავლობაში, ბორცვი გაიზარდა  $2\frac{1}{2}$  მეტრით. ამ არამეულსა და ძველ-ხეთურ ფენას შორის დაახლოებით 6 მეტრის სისქე ჩანს. ამისდა მიხედვით, ძველ-ხეთურსა და არამეულ-ხეთურ ფენებს შორის უნდა ვივარაუდოთ 2000 წლის სხვაობა და კიდევ მეტიც. ტელ-ჰალაფში გათხრის ვითარება ისეთია, როს აქაც მსგავსი ამოცანა უნდა გადავწყვიტოთ: როგორც მოვიჩსენიეთ, აქ ჩანს ერთი ეპო-

ქა, როდესაც ხელშეორებ გამოუყენებიათ უძველესი ქვის სკულპტურა; ამას გარდა, ბორცვში აღმოჩნდა ხატოვანი კერამიკით დახასიათებული ვანათხარი; ეს კერამიკა თუძველესი ხანისაა და მე-3 ათასეულის პირველი ნახევარი უნდა განისაზღვროს; ერთსა და იმავე დროს უნდა მივაკუთვნოთ ეს კერამიკა და ქვის სკულპტურა, თუ არა? კარქემიშში, „წყლის კართან“, უძველესი ხანის სკულპტურა აღმოჩნდა, რომელიც მეორედ გამოუყენებიათ; ბორცვის ძველი კულტურული ეპოქებიდან რომელს უნდა მივაკუთვნოთ ეს სკულპტურა და როგორ უნდა დავათარიღოთ შესატყვისი ფენები? ეს არის მრავალუცნობიანი განტოლება, რომლის გადასაწყვეტად მარტო კარქემიში საშუალებას არ იძლევა.

გათხრის ვითარება, მაშასადამე, ისეთია, რომ უძველესი ქვის სკულპტურა, რომელიც რამდენიმე საფეხურისა ჩანს, უნდა მივაკუთვნოთ ძალიან ძველ ხანას, სახელდობრ, მე-3 ათასეულის პირველ ნახევარს და შუახანებს. შემდეგი, სტილის კრიტიკის საშუალებით გადასაწყვეტი კითხვა იქნება: შეიძლება თუ არა ეს ხელოვნება ასეთი სიძველისა იყოს? მართლაც, არა თუ შეიძლება, იგი აუცილებლად ამ სიძველისა უნდა იყოს და ზენჯირლის, ტელ-ჰალაფის, ოაუკის და ზოგიერთი სხვა, აქვე მოსატანი, ძველხეთური სკულპტურა უნდა მივაკუთვნოთ მე-3 ათასეულს, ნიშანდობლივ, მის პირველ ნახევარს და შუახანებს. ხოლო ტელ-ჰალაფის სანახებში ნაპოვნი ბაზალტის უზარმაზარი სკულპტურები, რომლებიც რელატიურადაა დათარიღებული იმავე სტილის საბეჭდავების საშუალებით, კიდევ უფრო ძველია, მე-4 ათასეულით განისაზღვრება და ხეთური ტერიტორიის მონუმენტალურ სკულპტურას სიძველის უპირატესობას ანიჭებს სუ-

მერისა და ეგვიპტის წინაშეც. ამ უძველესი გაღმონაცემის უკანასკნელი ნაწარმოები აქემენიდურია და აქემენიდურ ხელოვნებასთან ერთად, ალექსანდრე დიდის შემოტევის წყალობით, იღუპება ძველი ახლო-აღმოსავლეთი მთლიანად.

ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში ალექსანდრესმიერი დაპყრობა ისეთი ნაძალადევი და თან ხანგრძლივი შეჭრა იყო, რომ არ მოიპოვება არც-ერთი ნივთი, რომელსაც მაშინვე არ ეტყობოდეს, ამ შეჭრამდეა გაკეთებული თუ მას უკან. ზეგავლენა ბევრით სცილდება ფაქტიური დაპყრობის ფარგლებს. სრულებითაც შემთხვევითი არაა, რომ ინდოეთის შემონახულ ძეგლთაგან (პრეისტორიულ ნივთებს გარდა) უძველესი ასოკას ხანას ეკუთვნის (დაახლ: 70 წ. ალექსანდრეს შეძლევ), და რომ ჩინეთში უძველესი ძეგლები კიდევ უფრო გვიანი ხანით განისაზღვრება, ქ. წ. მე-2 საუკუნის დამლევს ეკუთვნის. საქმე ისაა, რომ აქ ისევ ვპოულობთ იმ ნიშნებს, რომლების ძიტორიას ზემოთ გავეცანით: კლდის დამუშავება, ფილაქვნით მშენებლობა, ქვის სკულპტურა. აქაურ ფორმათა შორის ბევრია ისეთი, რომელიც აშკარად დასავლეთ ერანიდან მომდინარეობს; მეორე მხრით, ტიპიური ხის კონსტრუქცია გვიჩვენებს, რომ აქ მაშინ პირველად შეცვალეს გაუტანელი ხე გამტანი ქვით. ეს გადასავლა ერანული კულტურის შორეული გავლენაა, გამოწვეული იმ შენძრევით, რომელიც ბერძნულ დაპყრობას მოჰყვა და რომლის ტალღები ინდოეთამდე და ჩინეთამდე გავიდა.

ამ დამოკიდებულების მერმინდელ განვითარებას სხვა გარემოებამ შეუწყო ხელი, სახელდობრ, იმან, რომ მე-2 საუკუნეში ქ. წ. შიდააზია კვლავ მოძრაობაში მოვიდა, რასაც ახალი, მესამე გადასახლება მოჰყვა, რომელმაც

ერანული ტერიტორია ელინიზმს ხელიდან გამოსტაცა და უფრო მჭიდროდ დაუკავშირა სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიას.

ამ მოძრაობის პირველი აქტი სახელმწიფოს დაარსება იყო, რომელიც მოხდა აღმოსავლეთ ერანში ქ. წ. 250-ის ახლოს. დაპებმა, საკურმა ტომმა, რომელიც კასპიისა და არალის ზღვებს შუა მდებარე ვაკეებიდან გამოვიდა, დაიბყრეს აქემენიდური პროვინცია პართავა; აქედან დაერქვათ მათ პართები, ხოლო მათს სახელმწიფოს — პართია. ამ სახელმწიფომ დასავლურ ელინიზმს მოსწყვიტა გრეკო-ბაქტრული სახელმწიფო, რომელიც პირველად სამარკან-დიდან პინდუკუშამდე იყო გადაჭიმული, ახლა კი თანდა-თან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ინდოეთისაკენ გადაი-წია და მოკლე, ბრწყინვალე არსებობის შემდეგ დაიღუპა. მესამე არიული გადასახლების მეორე აქტი იყო: საკების გამოსვლა მათი პირვანდელი სამშობლოდან, ფერლანი-დან, და რამდენიმე მოკლე ეტაპით გადასახლება სამხრეთ-აღმოსავლეთ ერანისა და ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთი-საკენ. ეს საკები აქემენიდური წარწერების „საკა ტიგ-რაქაუდა“ და „ჰაუმავარკა“ არიან, რომლებიც კიროსი-დან ვიდრე ალექსანდრემდე იაქსარტზე ისხდენ „სოლდის გალმა“. აქ იყვნენ ისინი, როგორც ჩინური წყაროები გვაუწყებენ, ქ. წ. მე-2 საუკუნის პირველ ნახევარშიც, ე. ი. მაშინ, როდესაც მათი გადასახლება დაიწყო. მათი გადასახლების გზა შეიძლება გამოვიცნოთ ნაკლულოვანი დასავლური და ჩინური ცნობების კრიტიკული შედარე-ბით: ეს იგივე გზაა, რომელიც მივიღეთ პირველი არიუ-ლი გადასახლებისათვის: ოქსუსის სანახებიდან, მერვზე და ჰერატზე, სისტანში, ბელუჯისტანში და ინდოეთში. არ უნდა შეგვაცდინოს ჩინელების ცნობამ, თითქოს საკები

თუ მათი ერთი ნაწილი, „დაკიდებულ კარზე“ გასულიყვნენ, რომელსაც პამირის მთის კვანძში ეძებენ. ეს „დაკიდებული კარი“ მითიურ გეოგრაფიას ეკუთვნის და, თუნდაც იგი შემდეგში პამირისათვის მიეკუთვნებინათ, არაფერს არ ამტკიცებს. არშაკუნიანთა პართულ სახელმწიფოს ძალა საკმაოდ შესწევდა, რომ საკების გზა აღმოსავლეთისაკენ გადაეხარა.

მითრიდატ II-მ, როგორც ეტყობა, დაუთმო შათ სამხრეთ-აღმოსავლეთი ერანის ტერიტორიები, სადაც მათი სახელი დღემდე შერჩა — სისტანი, ძველად „საკასტანა“. როგორც სასანური წარწერები გვამცნებენ, საკების სახელმწიფო, რომელიც დაახლ. 500 წელიწადი არსებობდა, მოიცავდა ამას გარდა, ინდის სამხრეთ ტერიტორიას მთლიანად (სინდი), პენჯაბს და აღწევდა დელის და ბომბეის. ამავე დროს, ძველი ბაქტრია, განდარა და ქაბულის ველი დაიჭირეს ტოქარებმა (მერმე „კუშანი“). კუშანის სახელმწიფოს ბოლო ეღება არღაშირ I-ის მეფობისას, 225 წ. ქ. შ. საკების სახელმწიფო კი ამის შემდეგ კიდევ 60 წელიწადი არსებობდა და ბაჰრამ II-ის მეფობის დროს მოისპო. სასანელთა სახელმწიფო, რომელმაც ეს მხარეები დაიპყრო, აღმოსავლეთში მოიცავდა და კიდევაც გადასწვდებოდა აქემენიდური სახელმწიფოს ფარგლებს. ეს გაგრძელდა ქ. შ. მე-4 საუკუნის შუახანებამდე, როდესაც ამ ტერიტორიებზე შიღააზიურ ხალხთა ახალი ტალღები გადმოვიდა.

შუაზიურ ბუდიზმს ელინისტური იდეები გრეკო-ბაქტრული სახელმწიფოდან გაუჯდა. საკების სახელმწიფო გვიხსნის ძლიერ ერანულ გავლენას ქრისტეს შემდგომი ხანის ინდოეთში.

დასასრულ, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი კულ-  
ტურულ დამოკიდებულებას წინააზიასა და აღმოსავლეთ  
აზიას შორის. აქ გვაქვს: ჯერ ერთი, ურთიერთობა ხე-  
თურ-კასპურ წრესა და ჩინეთ-ინდოეთს შორის უძველეს  
ხანაში, 3000-ის ახლ. ქ. წ.; შემდეგ, აქემენიდური სახელ-  
მწიფოს აყვავების ხანაში, დასავლეთაზიური იდეების გავრ-  
ცელება ჩრდილოაზიასა და ინდოეთში; მესამე, ალექსანდრეს  
და გრეკო-ბაქტრული სახელმწიფოს ხანაში,—ძლიერი სტი-  
მული ახალი შემოქმედებისათვის ჩინეთსა და ინდოეთში;  
ამის შემდეგ გრძელდება კულტურული კავშირი დასავ-  
ლეთ და აღმოსავლეთ აზიას შორის საშუალო საუკუ-  
ნოებშიც; ეს კავშირი შეიძლება მხოლოდ იმეორებდეს  
იმას, რაც ერთხელ უკვე ფაქტი ყოფილა ისტორიის  
აღიონჩე, მე-4 ათასეულის გასულს და მე-3-ის დადეგს.

931/939

3 518

8560 1 856.